წლიწადი მეორე ფასი 7 კაპ. ხუთშაბათი, 29 ენკენისთვე 1916 წ. № 216

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს [illegible] კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი. დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. საქართველო წელიწადი მეორე.

უპრემიოდ ღირს: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით 4 თვით—4 მ. 80 კ. 3 თვით—3 მ. 60 კ. 1 თვით—1 მ. 20 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

პრემიებით: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.

სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 5 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 6—მან.

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე.

ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი სანდრო შანშიაშვილი.

ნადვორნი სოვეტნიკის

გრიგოლ გვადიას ძე კეიდიას

ტრაღიკული გარდაცვალების ორმოცზე გარდახდილი იქნება პანაშვიდი მიცვალებულის სასაფლაოზე სამშაბათს, 4 ოქტომბერს, დილის 12 საათზე ქ. ზუგდიდში, ზუგდიდის მაცხოვრის ეკლესიის გალავანში, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მწუხარებით გულმოკლულნი გვადია ჯამლეთის ძე, ფილიპე გვადიას ძე, მატრონა ნიკოლოზის ასული, ეკატერინე გრიგოლის ასული და ქრონია დავითის ასული კეიდიები და ფარნაოზ ნიკოლოზის ძე ფიჩხაია.

ქ. თბილისში, 28 ენკენისთვეს, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

მართა ზურაბის ასული

ალშიბაიასი

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ღრმად დამწუხრებულნი შვილები: ვლადიმერ და გრიგოლ კონსტანტინეს ძენი ალშიბაიები ოჯახობით, კნ. ფეოდოსია კონსტანტინეს ასული ჩიჩუასი, სალომე კონსტანტინეს ასული ჰეჰინაძისა და სიძე დეკანოზი კონდრატე მალაქიას ძე ჩაჩიბაია.

მიცვალებულის გამოსვენება ბინიდან (ვაკე, ჰეჰინაძის სახლი) სადგურზე დანიშნულია, 29 ენკენისთვეს, ნაშუადღევის 5 საათზე, პანაშვიდის შემდეგ. დაკრძალვა 3 ოქტომბერს, ს. ჭკადუაში.

(1—349—1)

ბათომის ხელის-მომწერთა საყურადღებოთ.

გაზ. „საქართვ.“-ს კანტორა უმორჩილესად სთხოვს ბათომის ხელის მომწერთ გაზეთის ხვედრი ფული შეიტანონ წიგ. მაღაზია „განთიადში“.

სასცენო სტუდია

ს. ნ. ვორონოვის

ხელმძღვანელობით.

მეცადინეობა რუსულსა და ქართულს ენაზე

ასწავლიან შემდეგ საგნებს:

ბაუერ-ზაქსი—პლასტიკას.
ვორონოვი—დიქცია-დეკლამაციას და სასცენო ვარჯიშობას.
ელპის-ზარაფიდი—გიმნასტიკას.
პეტროკოვსკი-გრიმსა და ტანთსაცმელს (კოსტიუმს), ისტორიას.
რატოვი—მიმოდრამას.
რობაქიძე—ესთეტიკას.
ახმეტელი—თეატრის ისტორიას.

მეცადინეობა უკვე დაიწყო. მოწაფეთა მიღება გრძელდება. ცნობების გაგება შეუძლიათ ყოველ-დღე 12—1 საათზე დილისით და საღამოთი 3½—4½ ს., ნიკოლოზის ქ. 64, ბინა ვორონოვისა.

(თ.—254—7)

საუკეთესო კახური

ღვინის საწყობი

ადამ ზურაბის ძის

ბერელაშვილისა

მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.

(102—წ.)

ღვინის საწყობი

ნიკო გ. სესიაშვილისა

იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი

კახური ღვინო

განოვის ქუჩა № 4.

სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.

(185—წ.)

საუკეთესო
სასადილო
„ეკონომია“
პუშკინის ბაღის პირდაპირ.

„ფრანციის“ ნომრების ქვეშ, შტაბის ქუჩა.

მოწყობილია ევროპიულ პირველ ხარისხოვან რესტორანების მსგავსად. საჭმელები ევროპიულიც არის და ადგილობრივიც. ყოველ დღეა: ხარშო, ღომი, საცივი, ხაჭაპური, „პიროჟკი“ და სხვა საუზმე. სადილი და ვახშამი. მიუხედავად სანოვაგის სიძვირისა, „ეკონომიაში“ სადილები ეტად იაფია. გამოცდილი მზარეული სადილს კარგად ამზადებს.

სასადილოში არის ნარდი და ბილიარდი

პატივისცემით „კაფე-პარიზის“ წინანდელი მწარმოებელი

(თ. 258—10) დიმიტრი უჩ. გიგიბერია და ნ. მ. ქურთაური

პირველ ხარისხოვანი რესტორანი

კაფე პარიზი

ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.

(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)

სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში“ შეიძლება.

ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია

ყოველ დღე მზადდება

საუზმე	ჩაი
სადილები	ყავა ხაჭაპური
ვახშმები	პიროჟკები

ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.

პატივისცემით ხიდ. ს. გიგიბერია.

აკაკის სახელობის ქართული

საბავშვო ბაღი

ან. გედევანიშვილისა.

მიიღება ბავშვები სამიდან შვიდ წლამდე. სწავლა იწყება 1 ოქტომბერს.

ჩაწერა შეიძლება სათავად-აზნაურო ქართულ გიმნაზიის შენობაში, დილის ათიდან პირველ საათამდე. პარაკლისი გადახდილ იქნება 1 ოქტომბერს, დილის 11½ საათზე. (თ—258—3)

ექიმი

ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი (Бѣль), საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის 9½-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.

ერლიხის „914“ და „606“

შეშხაპუნება

ექიმი-დოსტაქარი

გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

მასსაჟს, კანს ქვეშ შეშხაპუნებას და შეხვევას კისრულობს

სპეციალისტი ფერშალი და მასსაჟისტკა ქალი

დილის 3 საათიდამ საღამოს 7 საათამდის. თუმანოვის შესახვევი, № 24.

(თ. 343—6)

დოქტორი მედიცინისა

ნინო ანთიმოზის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

ექიმი

მ. ი. ვაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-უქმის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა

ექიმი

ა. დ. შაჰაბაზიანცი

ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

დ. ზესტაფონში

ექიმი

დ. ქ. მაჭავარიანი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

თბ. კოოპერატიული საზოგადოების

„შრომის“

გამგეობა ამით მ 6 აცხადებს, რომ დაიწყო თავის მოქმედება 26 ამ თვიდან.

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ საზოგადოების წევრებად და შეიტანონ პაის ფული ყოველდღე, კვირა-უქმეს გარდა, საღამოს 7-დან 9 საათამდე შ. რატიანის კანტორაში სიონის ქუჩაზე, ანანოვის ქარვასლაში.

(3—348—1)

ბინის საკითხი

როცა რუსეთში რაიმე საკითხი მწვავდება და საშიშ ხასიათს ღებულობს, მთავრობა ჩვეულებრივ გატკეპნილი, ნაცადი გზით სცდილობს მის მოვლას: ბიუროკრატიულ კომისიას ჰქმნის, ცირკულიარებს აგზავნის, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში საგანგებო კანონ-პროექტს იმუშავებს. ეს ცირკულიარები თუ საკანონმდებლო აქტები ხშირად მხოლოდ პროვინციულ ურიადნიკებსა და ისპრავნიკებზე ახდენენ შთაბეჭდილებას: ცხოვრება ძველს კალაპოტში რჩება და მის სიმდინარეობაზე ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს ურიცხვ კანცელარიებში დაღვრილი ოფლი და მელანი. მაგრამ ასეთია ძალა ინერციისა: რაც უნდა მოხდეს, ბიუროკრატია ვერ გადაუხვევს ერთხელ არჩეულ გზას.

რამდენი საკითხი არ წამოაყენა დიდი ომის ეპოქამ? მიმოსვლის საკითხი, სურსათის საკითხი, ბინის საკითხი. მთელი დღევანდელი რუსეთის ცხოვრება ერთს დიდს საბედისწერო საკითხად გადაიქცა, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ მმართველ წრეებს ოიდიპოსის გონებამახვილობა გამოეჩინოთ ამ ახლად მოვლენილი სფინქსის წინაშე. კომისიები შესდგა რასაკვირველია. მაგრამ ჯერ რუსეთში არავის უნახავს ადამიანი, რომელსაც ამ კომისიების წყალობით ცხოვრების ტვირთი შემსუბუქებოდეს. პირიქით: ტარიფებისა და „მაგარი ფასების“ მიუხედავად პური ერთი სამად გაძვირდა, სხვა სანოვაგე თითქმის სრულიად მიუწდომელი გახდა მომხმარებლისათვის. შეშა, ნავთი და ნახშირი გაჰქრა ბაზარში და თანამედროვე რუსის „ობივატელი“ უსინათლო და უცეცხლო ჯურღმულში მოჰყვა, რომელიც ბევრით არაფრით განსხვავდება ყინულის დროის ადამიანების გამოქვაბულისაგან.

მაგრამ ჯურღმულის ადამიანების გვერდით თანამედროვე ცხოვრებამ წარმოშვა მეორე კატეგორია ადამიანებისა, რომელნიც კიდევ უფრო შორეულ ისტორიულ ფორმაციას ეკუთვნიან. ესენი არიან მოქალაქენი, რომელთაც სრულიად არავითარი ბინა არ გააჩნიათ და ღამეს ცის ქვეშ ატარებენ ბრაზილიელ ან პატაგონელ მოხეტიალე ველურებივით. მთავრობის ღონისძიება ამ შემთხვევაშიც უძლური აღმოჩნდა: საგანგებო კანონის შემწეობით სახლის პატრონებს აეკრძალათ ბინის ქირის მომატება, მაგრამ ბინის კრიზისი ამით ოდნავაც არ შემსუბუქებულა. ბინის მქირავებელნი თავის მხრივ სრულიად უკანტროლოდ აქირავებენ ოთახებსა და კუნჭულებს და ბოლოს ყველაზე მეტად წაგებული სწორედ ხელმოკლე ელემენტებია, რომელთაც შეძლება არ შესწევთ მთელი ბინა იქირაონ. ესეც არ იყოს საქმე იმდენად ბინის სიძვირეში არ არის, რამდენიც ბინის უქონლობაში

ბინის საკითხი ომის დაწყებამდეც მეტის მეტად გამწვავებული იყო რუსეთში. ეს ქვეყანა ეკონომიურად ჩამორჩენილია და მას ყოველ დარგში აკლია კაპიტალი. საამშენებლო მოქმედება შეზღუდულია უფულობის გამო და უმეტეს შემთხვევაში ვერ ასდის ქალაქის მცხოვრებთა მოთხოვნილებას. ამით აიხსნება რომ რუსეთის პროვინციულ ქალაქებშიც კი ბინა ერთი ორად და ერთი სამად უფრო ძვირია ვიდრე დიდს მსოფლიო ცენტრში: ლონდონსა, პარიზსა და ბერლინში. პეტროგრადი და მოსკოვი ხომ ამ მხრივ უბადლონი არიან დედამიწის ზურგზე. ეს გარემოება ყველაზე მეტად დემოკრატიისათვის არის სავალალო: გამოანგარიშებულია რომ რუსის მუშისა და ხელმომკლე ინტელიგენტის შემოსავალი თითქმის სანახევროდ ბინის ქირაში მიდის, მაშინ, როცა ევროპიელი მუშისა და ინტელიგენტის ბიუჯეტში ეს ხარჯი ხშირად ერთ მეხუთედს აღწევს. ხეირიანი ბინის უქონლობა, ჰაერისა და სინათლის ნაკლებობა აუტანელ სანიტარულ და ჰიგიენურ პირობებს ჰქმნის რუსეთის მოქალაქეებისთვის, ნიადაგს უმზადებს ყოველგვარ ვადამდებ ავადმყოფობას და სიცოცხლის ხანგრძლივობას ამოკლებს. სიკვდილის კოეფიციენტი ჩვენს ქალაქებში ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე დასავლეთ ევროპისაში და რუსეთში საერთოდ 3 ნახევარი მილიონი მცხოვრებით მეტი იხოცება, ვიდრე დაიხოცებოდა, აქაც რომ ისეთი ნორმალური პირობები ყოფილიყო, როგორიც მაგალითად გერმანიასა და ინგლისშია.

დასავლეთ ევროპაში უფრო ძლიერია კერძო საამშენებლო კაპიტალი. სახლები ხშირად მეტი შენდება, ვიდრე საჭიროა და ამიტომ ყველას შეუძლიან ბინა მოთხოვნილებისა და ბიუჯეტის მიხედვით აირჩიოს. ძველი მოუწყობელი, ბნელი და ნესტიანი ბინები თავის თავად ცარიელდებიან მუშტრის უქონლობის გამო. ქალაქის განაპირა უბნებში ხელმოკლე ხალხისთვის ახალი სახლები შენდება, ხშირად ნამდვილი სრა-სასახლეები, თანამედროვე კომფორტის მიხედვით მოწყობილნი: ელექტრონის განათება, ვენტილაცია, ვანები, წყლის მილები. ფართო ფანჯრები მათ აუცილებელ აქსესუარებს შეადგენენ.

მაგრამ ესეცაა, რომ დასავლეთ ევროპის ქალაქებში მუნიციპალიტეტი და კოოპერატივებიც დიდად ხელს უწყობენ წესიერი და იაფ ფასიანი ბინების გავრცელებას. ბერლინსა, ლეიპციგსა, ვენასა, მილანოსა და სხ. ქალაქის თვითმმართველობა ყოველ წლივ მილიონებს ხარჯავს ახალი სახლების ასაშენებლად. ამით ის ზღუდავს კერძო კაპიტალის მონოპოლიას და ქალაქის მცხოვრებლებს ნორმალურ ჰიგიენურ პირობებში აყენებს.

რუსეთსა და ჩვენში მუნიციპალიტეტი უმეტეს შემთხვევაში სახლის პატრონებისა და მათი თანამგრძნობლებისგან შესდგება. ამ წრეებში ყველაზე ნაკლებ უნდა ველოდეთ „ბინის რეფორმატორებს“. მათი მხრით ისიც დიდი გმირობა იქნება, თუ ომის დროს გამოცემულ კანონების ასრულებას თვალყური ადევნეს.

ვ. ლელიანი.

დღიური

იაპონიაში გადადგა მმართველობიდან 80 წლის გრაფ ოკუმას სამინისტრო, მეფემ მის ადგილზე მიიწვია სამხედრო პარტიის მეთაური გრაფი—ვე (იაპონიაში ძალიან პოპულიარია გრაფის ტიტული) ტერაუცი.

„რუსკია ვედომოსტი“ ცდილობს დაახასიათოს იაპონიის ახალი პირველი მინისტრის საგარეო პოლიტიკა და სწერს: „ტერაუცი იმის მომხრეა, რომ იაპონიის პოლიტიკა ჩინეთის მიმართ იყოს გადამწყვეტი და ღონიერი. მართალია სწორედ ოკუმამ წარუდგინა ჩინეთს შარშანდელი მოთხოვნილებათა სია, მაგრამ იგი იძულებული იყო მოკავშირე სახელმწიფოების ინტერესებიც ჩოთქში ჩაეგდო და შეემცირებინა თვისი სურვილები. უნდა ვიფიქროთ, რომ ტერაუცის მოქმედება ამავე გზით უფრო პირდაპირი და ღონიერი იქნება; იგი ნაკლებითი სიფრთხილით მოეპყრობა იაპონიის ზრახვათა მოწინააღმდეგე სახელმწიფოებსო“.

ჩინეთში უმთავრესად რუსეთის და ამერიკის შტატების ინტერესებია იაპონიას რომ ხელს უშლი, მაგრამ ტერაუცის „აქტივიზმი“ უფრო რუსეთისათვის არის საფიქრელი, ვიდრე ამერიკისათვის, რადგან ახალი მინისტრი სწორედ იმ თემის („კლანის“) მეთაურთაგანია, რომლის ხელშია ჯარის გამგებლობა; ფლოტის გამგეთემი კი ამ ჟამად მოშორებულია სამინისტროს საქმეებზე გავლენას.

—

ციმბირის ერობის პროექტი უკვე შეუდგენია ადგილობრივ მეურნეობის საქმეთა მთავარ მმართველობას; ჯერჯერობით შედგენილია მხოლოდ ციმბირის დასავლეთ გუბერნიათა (ტომსკის და ტობოლსკის) საერობო დებულება; აღმოსავლეთ ციმბირის საერობო პროექტი ჯერ კიდევ იწერება. ციმბირის ერობის პროექტი დამუშავებული და მოწონებულიც იყო მესამე სახელმწიფო სათათბიროს მიერ 1912 წელს, მაგრამ სახელმწიფო საბჭომ

უკამათოდ გარდასწყვიტა,— ციმბირელებისათვის ერობა „უდროვოა“-ო.

ცნობილ ბ. ვესელოვსკის სიტყვით (იხ. „რუს. სლოვო“) ახლანდელი მთავრობის პროექტი „არსებითად უდრის მესამე სათათბიროს პროექტს: ორივენი **1890 წლის** მოქმედ კანონის მიხედვით არიან შედგენილიო, მხოლოდ შიგ შესწორებებია შეტანილიო... საარჩევნო წესი აშენებულია **ორი კურიის** (საგლეხო და კერძო მესაკუთრეთა) დაშვებით... მხოლოდ მთავრობას გამოურიცხავს ერობიდან „ინოროდცები“. არსებითად შეუცვლია მთავრობას სათათბიროს პროექტის სამი მხარე: 1) საერობო კრებებზე უნდა თავმჯდომარეობდეს მთავრობის მოხელე და არა არჩეული პირი, 2) საერობო გამგეობაში უცენზო პირებს ვერ აირჩევენ და 3) საგუბერნიო ერობათა მოქმედება შეზღუდულია...“

ბ-ნი ვესელოვსკი უკმაყოფილოა ამგვარ „ნაფლეთ“ კანონპროექტით და სწერს: „განა ასეთი ერობა გამოდგება ადგილობრივ კულტურულ აღორძინებისათვისაო?“

ჩვენ კი კიდევ სხვა კითხვა გვებადება: თუ ასეთი უმგვანო და ნაფლეთ ერობას უმზადებს მთავრობა ეკონომიურ ძლიერ წინ გაწეულს და საზოგადოთ აწ დარჩენილ განაპირათაგან ყველაზედ უფრო კულტურულ ციმბირს, რომელსაც დიდი ხანია საკუთარი უნივერსიტეტიც აქვს,—მაშ რა იმედი ასულდგმულებს იმ ვაჟბატონებს, რომელნიც ერთი ერთმანეთს ეჯიბრებიან, რომ კავკასიას უკანასკნელი დემოკრატიული მოდის მიხედვით შეუკერონ ერობა?

ნუ თუ მეფის ნაცვლის კანცელარია, რომელიც კარგად უნდა იყოს გაცნობილი პეტროგრადის მინისტრთა შეხედულებებს,—„კადეტურ“ ერობის კანონპროექტს დაუმზადებს მათ, როგორც ამას იმედოვნებენ ხატისოვები, რჟევსკები და სხვა ასთები.

ახალი.

ომის ამბები

ბრძოლის ველზე

გუშინ და გუშინ-წინ გერმანეთის წყალქვეშა ნავებმა მოკავშირეებს რვა გემი ჩაუძირეს. ინგლისელების გემი „სტეფანი“ მათ ამერიკაში, ნიუ-იორკის მახლობლად, დაიჭირეს და იქ დალუპეს. გარდა ამისა, წყალქვეშას **№ 53** ამერიკაში მყოფ გერმანეთის ელჩისათვის ვილჰელმისაგან წერილი მიუტანია. ყველა ეს მოკლედ გადმოცემული ცნობა იმას გვიკარნახებს, რომ კანცლერის მუქარა წყალქვეშა ნავებით ბრძოლის გაძლიერების შესახებ უკვე მართლდება და დღეის შემდეგ კიდევ რა მოხდება, მომავალი გვიჩვენებს. საშინელებაა გერმანელების მხრივ უდანაშაულო მგზავრების დალუპვა. უბედურობა იმაშია, რომ მათი წყალქვეშა ნავები თანდათან უფრო უხილავი და მიუვალი რჩებიან და სხვა და სხვა ახალ გამოგონილ საშუალებათ და მოქმედების მიდამოებს ფრიად საგრძნობლად ადიდებენ. ვინ წარმოიდგენდა ომამდის, რომ რომელიმე სახელმწიფოს წყალქვეშა ევროპიდან ამერიკაში წასვლას გაჰბედავდა. დღეს კი ეს უტყუარი ფაქტია. გერმანელების ნავები არა მარტო მიდიან, თავსაც კი ესხმიან მოპირდაპირეების გემებს უშველებელ მანძილზე და საგრძნობელ ზიანს აყენებენ.

საზოგადოდ წყალქვეშა ნავების მოქმედებას ბევრი ალმაცერად უყურებს. მათი რწმენით, მათს თარეშს უბრალო დეკორატიული ხასიათი აქვს. თუ რამდენად შემცდარია ასეთი აზრი იქიდან სჩანს, რომ ცნობილი სამხედრო მიმომხილველი მორატი ფრანგების და ინგლისელების გამარჯვებას მდ. სომმაზე წყალქვეშა ნავების უმოქმედობას უკავშირებს. მორატის აზრით, მას შემდეგ, რაც გერმანელებმა ხელი აიღეს ზღვაში თარეშზე, ინგლისელებს საშუალება მიეცათ აუარებელი ჯარი და სამხედრო მასალა დაუბრკოლებლივ საფრანგეთის ბრძოლის ველზე გადმოეტანათ, რამაც უეჭველია გავლენა იქონია ბრძოლის ველზე. თვით მორატი მომხრეა, რომ გერმანეთმა განაგრძოს უფრო მეტის სისასტიკით და გაბედულობით წყალქვეშა ნავების თარეში. მას სრულიად არ აფიქრებს, თუ რას იტყვის ამერიკა. სწორედ ასეთისავე შეხედულებისანი არიან, როგორც თვით კანცლერი, აგრეთვე დღევანდელ დღეს გერმანეთის სათავეში მდგომნი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწენი.

წყალქვეშა ნავების თარეში, გარდა მოკავშირეებისა, საგრძნობლად აზარალებს აგრეთვე ამერიკასაც. ომის დაწყების შემდეგ, როგორც ყველამ იცის, ამერიკამ ევროპაში მეტად შემოსავლიანი ბაზარი მოიპოვა. აუარებელი სამხედრო მასალა, რომელსაც დღეს იგი მებრძოლ სახელმწიფოებს აძლევს, დიდძალ ოქროს უგროვებს ამ სახელმწიფოს და რა გასაკვირველია, თუ კი მას არ ესიამოვნება ვისგანმე მისი შეფერხება ამ სავაჭრო დარგში. ზოგიერთა გაზეთის გადმოცემით, ამერიკა არასოცეს გულხელდაკრებით არ შეხვდება გერმანეთის განზრახვას და თუ კი გარემოება ხელს შეუწყობს თავის ინტერესების დასაცავად ომშიაც ჩაერევა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ თვით გერმანეთს ყველაფერი ეს გათვალისწინებული ექნება. მან უთუოდ კარგად იცის დღევანდელი მდგომარეობა ამერიკისა და თუ მაინც ასე გაბედულად ასრულებს თავის გადაწყვეტილებას, სჩანს, ან დარწმუნებულია, რომ ამერიკა ვერ შესძლებს ომში ჩარევას, რადგან ჩინეთსა და იაპონიის შორის დამყარებული დამოკიდებულება მას შეაფერხებს, ან და თუნდ ჩაერიოს რიოს კიდეც მაგრე რიგად საგრძნობელ საფრთხეს ვერ განუმზადებს. პირიქით, შეიძლება ისეც ჰფიქრობდნენ, რომ ამერიკის გამოსვლა ხელფეხს გაუხსნით მათ და უფრო გაბედულად განაგრძობენ უდანაშაულო ხალხის დალუპვას. ასეთ მოსაზრებათ დამამტკიცებელია ზემოდ მოყვანილი ცნობა. გერმანეთის წყალქვეშამ ნიუ-იორკთან ინგლისელების გემი ჩაძირა. შეუძლებელი იქნებოდა გერმანეთის მხრივ ასეთი გაბედული ნაბიჯის გადადგმა, რომ ამერიკის ნეიტრალობაში დიდად დაინტერესებული ყოფილიყო. მით უმეტეს გერმანელებმა უკვე იციან ამერიკელების აზრი წყალქვეშა ნავების მოქმედების შესახებ. მათ არა ერთხელ მოსვლიათ გაფრთხილების და მუქარის ნოტა. უკანასკნელად მათი დამოკიდებულება იმდენად გამწვავდა, რომ ყველას ეგონა ამერიკა უსათუოდ ომს გამოუცხადებდა. მაშინ გერმანეთმა დაუთმო და წყალ-ქვეშა ნავების თარეშიც შესწყვიტა.

არავის არავითარი საბუთი არ აქვს იფიქროს ვითომ ამერიკამ შეიცვალა თავის აზრი, ან და ნება დართო გერმანელებს თავიანთი ველური მოქმედება კვლავ განემეორებინა. მოკავშირეთა გამარჯვებით გაბოროტებულმა გერმანელებმა უკანასკნელ საშუალებას მიჰმართეს და აღარც ჰფიქრობენ იმაზე, თუ რა შედეგი მოჰყვება მათ მიერ ასეთ გვარ გამხეცებას.

გუშინდელი ოფიციალი დეპეშები არაფერს ამბობენ ბრძოლის ველის შესახებ. ბუქარესტიდან ცნობა არ მოსულა. რაც შეეხება აღმოსავლეთ ბრძოლის ველს, აქ მდგომარეობა უცვლელია.

X.

ომის დეპეშები

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა

28 ენკენისთვე.

პეტროგრადი. დასავლეთსა და კავკასიის ასპარეზზე არსებითი რამ ცვლილება არ მომხდარა.

27 ენკენისთვე.

პარიზი. საღამოს ცნობა. რანკურის აღმოსავლეთით, სენ-პიერ-ვაასის ტყესთან წინ წაწეულ სანგრებზე გერმანელების იერიში ხელის ყუმბარებით მოვიგერიეთ. ბარლეს სამხრეთ-დასავლეთით გერმანელებმა ზარბაზნების სროლა გააძლიერეს.

ლონდონი. საფრანგეთში მოქმედ ინგლისის მთავარსარდლის ცნობა. ლეზარის აღმოსავლეთით ვარლემკურის ბორცვის მიმართულებით, მდ. ანკრის ჩრდილოეთით ასპარეზზე მარჯვედ მივმართეთ მტრის წინააღმდეგ მოშხამული გაზი და ზარბაზნები. მოპირდაპირე სუსტად გვიპასუხებდა.

სოლუნის ცნობა. სტრუმის ასპარეზზე ჩვენმა ჯარმა მარჯვედ წაიწია კარაკასკა-სალმახ-ხამოდის ხაზზე. ჩრდილოეთით აიღეთ სოფ. კავდარმახი, ორმამლი და ხაზმატალი. დოირანის ხაზზე ახალი არაფერი მომხდარა.

სერბიელებმა სოფ. სტრუპმისა და დობროპოლიჩის შუა მდებარე მაღლობებიდან ბულგარელები განდევნეს. პოგაროვის ჩრდილოეთით ბრძოლის დროს 80 ბულგარელი დავატყვევეთ. მდ. ჩურმის მარცხენა ნაპირას სერბიელებმა დაიჭირეს სოფ. სკოჩივირი და ბრძოლით ჩრდილოეთისაკენ წაიწიეს.

პეტროგრადი. შინაგან საქმეთა სამინისტროს თავმჯდომარე პროტოპოპოვი უმაღლეს მთავარსარდლის ბანაკში გაემგზავრა.

პარიზი. დღის ოფიც. ცნობა. სომას სამხრეთით ორივე მხრივ ძლიერი სროლაა ზარბაზნებისა. შელამებისას მოპირდაპირემ დენეკურის მხარეს ძლიერი სროლა ასტეხა და ლიგონის მიდამოები მოშხამული გაზით დაჰფარა.

სომას ოლქში, როზრემონის მიდამოებში ჩვენი მფრინავები ფიცხლად მოქმედობდნენ. ექვსჯერ მოუხდათ შეჯახება მოპირდაპირის საფრენებთან. სენ-იერ-ვაასტის ტყეს ყუმბარები დაუშინეს და მტრის მდებარეობას ჰზვერავდნენ.

რომი. იტალიელების ოფიციალი ცნობა. მონტებანის ველის შესავალთან და აგრეთვე გორულა-კარსოს მიდამოებში მოპირდაპირემ უმწვერვალესად გააჩაღა ზარბაზნის სროლა. ავიზიოსა და ვან-პიემონტის ველებს შუა ორივე მხარე იერიშებით მიდიოდა ერთმანეთზე. ღამე მტერმა ცხარე ბრძოლა აგვიტეხა „2456“ სიმაღლესთან და ჩვენი მარჯვენა ფრთა იძულებული ჰყო უკან დაეხია. მეორე დილით მტერი ისევ უკან გავაბრუნეთ.

მოპირდაპირეს მფრინავებმა გრინიეს ყუმბარები დაუშინეს ფელის ველის თავში, აგრეთვე გრადნოს ველში მონფალკონეს, ჩერინიანოს და ტოსეზუნოს. აქ მძიმედ დააზიანეს რამდენიმე შენობა.

ბუქარესტი. ოფიც. გაზ. „ვიქტორულ“-ი იტყობინება: ბუქარესტში მყოფ გერმანელების მისიის ბაღში აღმოაჩინეს ჩაფლული ყუთები და ბოთლები, იმდენი ასაფეთქებელ ნივთიერებით სავსე, რომ მთელი ბუქარესტის აფეთქება შეიძლებოდა. საქმეს იძიებენ.

ბრძოლა წყალქვეშ

(პეტ. დეპ. სააგ.)

კოპენჰაგენი. დანიის წყალქვეშა „დიკერენ“-ი ტორბეკის მახლობლად, ზუნდში ვარჯიშობის დროს ნორვეგიის გემს დაეჯახა და ჩაიძირა. გადაარჩინეს 3. წყალში მავალი წყალქვეშაში მსხდომებთან ნიშნებით დალაპარაკება მოახერხეს. იმედი აქვთ ნავის ამოღებისა. შიგ 9 კაცია. გემი აგებულია. სპეციაში ფიატის ფირმის მიერ.

ლონდონი. ნიუ-იორკის გაზეთები იტყობინებიან: ჰოლანდიის გემი „ბლომეროდისკ“-ი და ნორვეგიისა „ხრისტიან კნუდსენ“-ი მასაჩუზეტის შტატის სანაპიროებთან წყალქვეშამ დალუპა. ზედ მყოფნი გადაარჩინეს. „ბლომეროდისკ“-ი ნიდერლანდიისათვის ხორბლით დატვირთული როტერდამში მიდიოდა. „ხრისტიან კნუდსენი“ და „სტეფანი“ ნავთით დატვირთული ლონდონს მიდიოდნენ.

ბოსტონი. წყალქვეშამ დალუპა ინგლისის გემები „კინგტონ“-ი „ვესტპოინტო“-ი. ამერიკის კონტრ-ნაღმოსნებმა ზედ მყოფნი გადაარჩინეს.

„სტეპანს“-ზე 90 მოგზაური იყო, რომლებიც ნიუ-ფაუნდლენდიდან ნიუ-იორკში ბრუნდებოდნენ.

ლონდონი. გერმანელების წყალქვეშა ნავები ტრანსოტლანტიის სანაოსნო ხაზზე რამდენიმე ადგილას დაეცნენ გემებს. ბორდოში მიმავალი გემი „სტრატდინ“-ი ნანტუკსის მოცურავე კანდელის მახლობლად დალუპეს. ზედმყოფნი გადაარჩინეს. ამერიკის გემი „კანზას“-ი იმავე ადგილას დაატყვევეს, მაგრამ ისევ გაანთავისუფლეს. „სტეფანი“ დალუპეს ნიუ-იორკის მახლობლად. ზედ იყო 4 ქალი და 30 ამერიკელი.

კოპენჰაგენი. ჩაძირულ წყალქვეშას „დიკერენ“-ის ამოღება ღამე მოახერხეს. შიგ მყოფთაგან 5 კაცი ცოცხალი და უვნებელია. ნავის უფროსი ლეიტენანტი ხრისტიანსენი შტურმანის კოშკის ქვეშ მოჰყოლოდა და მკვდარი ნახეს. წყალქვეშა 8 ადლის სიღრმეზე იყო ჩაძირული. მას კოპენჰაგენში წაიღებენ. შიგ მსხდომნი მჟავბადიან მუზარადების შემწეობით გადარჩენილიყვნენ. „დიკერენ“-ი დანიის წყალქვეშებში ყველაზე ძველი ნავია.

პარიზი. დალუპულ გემ „გალია“-ზე მყოფთაგან გადაურჩენიათ 1328 კაცი. დალუპულა მხოლოდ 12. ესენი თითქმის სულ აფიცრებია. მხოლოდ ერთი უფროსი აფიცერი გადარჩენილა.

ლონგერანჩი (ნიუ-ჯერსის შტატი). გრაფი ბერნსტორფი პრეზიდენტ ვილსონს სადარბაზოდ ეწვია და გადასცა გერმანეთის იმპერატორის წერილი, რომელიც წყალქვეშამ „უ. 53“ მიუტანა. ეს წერილი პასუხია ვილსონის მიერ ვილჰელმისა[illegible] წერილისა, რომელ[illegible]ნეთის სურსათით დახმარებას ეხება. ბერნსტორფის დარბაზობამდე ვილსონმა გაზეთების წარმომადგენლებს განუცხადა: გერმანეთმა უცვლელად უნდა აასრულოს მოცემული პირობა და არავითარი ეჭვი არა მაქვს, რომ იგი მზადაა შეასრულოს დაპირებულიო. ამბობენ, ვილსონს მეტად აფიქრებს ამერიკის სანაპიროებთან გერმანელების წყალქვეშათა თარეში. ამ გარემოებაზე გრაფ ბერნსტორფის ყურადღებას მიაქცევსო.

ლონგერანჩი. გრაფ ბერნსტორფის დარბაზობის შემდეგ გამოირკვა, რომ დესპანს სიტყვაც არ დაუძრავს ზავზე მოლაპარაკების შუამდგომლობაზე. პრეზიდენტსაც ხმა არ ამოუღია ატლანტიის ოკეანეში გერმანელების წყალქვეშათა თარეშზე. ბერნტორფს განუცხადებია: თუმცა ჩემი მთავრობისაგან არავითარი მონდობილება არა მაქვს, მაგრამ დარწმუნებული კი გახლავართ, რომ გერმანეთი თავისს მოცემულ დაპირებას პირნათლად აასრულებსო.

ვაშინგტონი. საზღვაო დეპარტამენტი თადარიგს შეუდგა, რომ ოკეანეს სანაპიროებზე სადარაჯოები მოაწყოს, რათა თვალყური ადევნონ, რომ გერმანელების მოთარეშე წყალქვეშებმა ამერიკის ნეიტრალობა არ დაარღვიონ.

ჟურნალ-გაზეთებიდან

რუსეთის ასპარეზი.

რუსეთის ასპარეზზე მოპირდაპირე მოგერიებითს ბრძოლას დაადგა. შესძლებს თუ არა იგი ამ მოგერიებითი გეგმის შესრულებას, ამას მომავალი დაგვანახვებს. საგულისხმო კია, რომ ამ ხუთი თვის განმავლობაში, რაც რუსებმა შეტევა იწყეს, გერმანელებმა ვეღარ მოახერხეს ინიციატივის ხელში ჩაგდება და ბრუსილოვის ჯარი ისეთისავე თანდათანობით წინ მიიწევს. (შუმსკი).

მაკედონიაში.

ბულგარელების ანგარიშით მაკედონიის ასპარეზზე მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდალს გენ. სარაილს ნახევარი მილიონი ჯარის კაცი მაინც დასჭირდება, რომ 300 ვერსზე გაჭიმულ ბრძოლის ხაზზე მარჯვედ იბრძოლოს, რადგანაც ყოველ ათი ვერსის ხაზზე საჭიროა თითო დივიზია. სარაილს კი მხოლოდ 200 ათასი მეომარი ჰყავსო. ამის გამო „ბ. ვ.“-ის სამხედრო მიმომხილველი სწერს: გენ. სარაილის ბრძოლის ხაზი სულ 220 ვერსს უდრის და არა 300-ს. მაშასადამე აქ საკმარისია მოკავშირეებს ჰყავდეთ 300 ათასი ჯარის კაცი, რაიც სრულებით საკმარისია მაკედონიის ასპარეზზე მარჯვე მოქმედებისათვისაო.

მიწის უფლებისათვის ბრძოლა გურიაში *)

თავი VI

ეროვნული საკითხი გურულთა შორის. ადმინისტრატიული ზომები, გრაფი ვორონცოვ დაშკოვის პოლიტიკა და საზოგადოებრივი თვითმოქმედება.

მკითხველისათვის შესაძლებელია გასაკვირველიც დარჩეს, რომ კერძოდ გურულთა შორის ეროვნულ საკითხს ვეხებით და არა საერთო საქართველოს ფართე ცნებიდან ვიწყებთ ამ საგანზე ბაასს. განა დრო არ არის, ვიტყვით ჩვენც, რომ საქართველოს სხვა და სხვა კუთხე გაერთიანდეს გეოგრაფიულად და იდეიურად და საერთო ძალღონით შეუდგეს მძიმე ჭაპანის წევას? მაგრამ რა ვუყოთ, თუ თავისებური პირობები, რომლებიც დამყარდა ამ 10—15 წლის წინად გურიაში, გვაიძულებს საკითხის სიდიადე ვიწრო ფარგლებით შემოვზღუდოთ და მხოლოდ ამით რამდენადმე ნათელვყოთ მთელი საკითხის უნუგეშო მდგომარეობა სრულიად საქართველოში.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ გურია დღესაც განკერძოებულ და საერთო ეროვნულ სხეულისაგან თითქოს დამოუკიდებელ ცხოვრებას ეწევა. ამის მიზეზი მდგომარეობს, სხვათა შორის, გურიის თავისებურ გეოგრაფიულ მდებარეობაშიაც. ამასთან აქ დამკვიდრებული პოლიტიკური პარტია სახალხო შეგნებას ისეთ რამეებს აწვდიდა და ჰკვებავდა, რაშიაც ყველაფერს შეხვდებოდით, გარდა სად ეროვნულ იდეალების დახვასა და იმათთვის ბრძოლად მოწოდებას. გურია მაღალ იდეალებს ეპოტინებოდა, საერთო სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ადგილობრივ საუკეთესო გამტარებელი იყო, ხოლო ეროვნული საკითხის მნიშვნელობის შემცნობისათვის ნაკლებ მასალას იძლეოდა ინტელიგენციის მიერ ყალბად გაგებული მამულიშვილობა. მთელი 10—15 წლიწადი გურია სხვისი შემყურე და სხვათა მოიმედე იყო და იშვიათად თუ იგულებდით თავის საკუთარ ძალებზე დაყრდნობილს, რომ მასაც შეემცნო და გაეგო ძირითადი საჭიროებანი საერთო ეროვნულ ყოფამდგომარეობისა. დავიწყებას მიეცა ტკბილ მოუბარი ენა სიმონ გუგუნავასი, რომელმაც მშვენიერის ქართულით „თამარიანი“ გალექსა. „ვეფხის ტყაოსანი“ გურული ოჯახის კუთვნილებას აღარ შეადგენს, გასაოცარ ქალის მზითევთა შორის ნესტან-დარეჯანსა და ტარიელის გამიჯნურების ამბავს ვეღარ შეხვდებით.. მერე როგორ ახლო წარსულს ეკუთვნის ის დრო, როცა ოზურგეთში შოთას გენიოსური ნაწარმოები გამოსცეს, ხოლო „თამარიანის“ ტაეპები ზეპირად ითქმოდა გურულ „მონათა და მხევალთა“ მიერ! და მათ ნაცვლად ბებელის „დედა-კაცი და სოციალიზმი“, კაუცკის „ანტიური ქვეყანა“, ბოგდანოვის „პოლიტიკო-ეკონომიური კურსი“, ე. შატრიანის „გლეხი-კაცის ისტორია“ და სხვა... ნუ თუ იმდენად წინ გაუსწრო გურიამ ქართულ ეროვნულ შეგნებას, რომ იქ მისთვის სულის საზრდო აღარ მოიპოვება რა და ამიტომ მსოფლიო საკაცობრიო საკითხებს ეცნობა და უცხოთა ლიტერატურით ავარჯიშებს თავის გონებას? არა. და მთელი ტრაგიზმიც, თუ გნებავთ, ამაში მდგომარეობს! გურულმა ნაკლებად იცის თუ ვისი ნაწარმოებია „ოთარაანთ ქვრივი“, „გლახის ნაამბობი“, ხოლო რომ უთხრა და აუხსნა „კაკო ყაჩაღი“ დიდ ილიას დაწერილიაო, გაიკვირვებს: როგორ, ის ხომ ხალხის მტერი იყო და ასეთ რამეს აბა როგორ დასწერდაო?! სანამ დიდებული ადამიანის ნაწარმოები ხალხში გავრცელდებოდა, იქ უკვე პოლიტიკური დავიდარაბის საგნად გამხდარიყო უღვთო სიკვდილი ერის დიდი მოამაგისა. ამიტომაც გურია დიდ ილიას იცნობს როგორც მემამულეს და არა პოეტ-მოქალაქეს და გამსჭვირვალე ნიჭის პატრონ ადამიანსა. გურულთა საერთო ცხოვრებას დაეპატრონა ეროვნულ საკითხში მეტად უსუსური პოლიტიკური პარტია, რომელმაც ყოველი და ყოველივე თავის გეგმონიას და პარტიულ განსჯას დაუქვემდებარა. გლეხობის სოციალ საკითხით დაინტერესებას არ მოჰყვა ბუნებრივად აქედან გამომდინარე ეროვნული გრძნობით გასხივოსნება დიად სამოქალაქო ბრძოლისა. ჭეშმარიტად დასელებს მხოლოდ გურიის შესახებ ეთქმისთ, რომ იქ ყოველგან თავისი გავლენა დაამყარეს. ბიბლიოთეკა-სამკითხველო, საკრედიტო ამხანაგობა, კოოპერატივი, საქალაქო მართველობა, სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები, ყოველგან თავიანთ პოლიტიკას აწარმოებენ და საკუთარი შეხედულება გაჰყავთ. ჩვენ ამით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქართველი დასელები მეტად საქმის ხალხია, ისე როგორც ერთი დიდი სოციალისტი რეაქციონერების შესახებ ამბობდა ერთ დროს. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ მათ ძალუმად აითვალწუნეს ადამიანთა სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში ეროვნული მომენტი, ეს ერთი აუცილებელი პირობათაგანი საერთო შეგნებისა. ამ ცალმხრივობამ მეტად უარყოფითად იმოქმედა გურულთა აზროვნებაზე და უჩინარი გახდა მათ მიერ წარმოებულ სოციალ ბრძოლის ეროვნული ღირებულება. დღეს ცხადია და უკვე საცილობელი აღარ არის, რომ საქართველოს ეროვნული საკითხის სათავე თბილისში სძევს. აქ იქმნება და აქედან პროვინციასაც სწვდდება ახალი სიტყვა ეროვნებათა შორის დამოკიდებულებისა. მხოლოდ გურიამდინ ასეთი რამ არ აღწევდა, ვინაიდან ეროვნული ლიტერატურა აქ ნაკლებად ვრცელდება, რასაც ერთობ ხელს „უშლის“ აქ დამკვიდრებული პოლიტიკური პარტიის გეგემონია. მაგრამ ყველაფერს დასასრული აქვს. ყოველი მოვლენა დიალექტიკურად რომა ვსთქვათ, თავის წიაღში ატარებს მოწინააღმდეგე მოვლენის წარმოშობის შესაძლებლობას. ეს ახალი რამ, უნდა ვაღვიაროთ, საქართველოში მოქმედ ეროვნულ მიმართულების პარტიის მიერ ნასროლი ისარი არ იყო, არამედ ის მოსრიალდა შორიდან, ევროპის ცივილიზაცია-კულტურის ტრაგედიამ შექმნა საამისოდ შესაფერი ნიადაგი.

ბრძოლად დარაზმული ეროვნებათა შვილები გაეშურნენ საომრად. ცეცხლმა და ტყვიამ ბევრს უკვე მოუსპო სიცოცხლე და, ვინ იცის, რამდენი მათგანი დაუბრუნდება თავის კერას, თავის მიდამოს, საყვარელ სამშობლოს. ჯართა შეტაკების დროს მშვიდობიანი მცხოვრებნი უფრო დაზარალდნენ. განადგურდა ბელგია, ეწამა დიდი პოლონეთი, ბოლო დროს სერბია და მთაშავეთმაც დალია სული, ხოლო ამაზე უფრო წინად ვერც ჩვენი პატარა სამშობლო ასცდა მწარე ხვედრს. საქართველოს ძველი კულტურის აკვანი, აჭარა, ორ ცეცხლ შუა მოჰყვა. ომის ღმერთი მეტად ულმობელობას იჩენს ასეთ შემთხვევებში და აკი აჭარის საუკეთესო ნაწილი განადგურდა და, ვინც გადარჩა, ოსმალეთის შუაგულისაკენ წარიტაცეს უკან დახეულმა ერთმორწმუნე სახელმწიფოს ჯარებმა. როგორი იყო ამ დროს მეზობლების დამოკიდებულება აჭარელთა ხვედრისადმი? უნდა ვაღვიაროთ, რომ გურულთათვის პირველ ხანებში აჭარელთა მწარე ხვედრი თითქოს გაუგებარი და უცხო რამ იყო. ან სად სმენოდა მას საღი აზრები საქართველოს შემადგენელ ნაწილთა მთლიანობის შესახებ, როდესაც აგრარულ მოძრაობის დროს მხოლოდ რუსეთისა და მსოფლიო პროლეტარიატის დახმარების იმედით ჰკვებავდნენ და ამავე დროს არ იცნობდა იმ ერთსისხლ და ერთხორც ხალხს, რომელთანაც ის ისტორიულ თანაზიარ ცხოვრებით შეზრდილა და მხოლოდ შემდეგ „უწყალოს ბედით“ დაშორებულა სარწმუნოებრივ განსხვავების ნიადაგზე? ამიტომ გასაკვირველი არ იყო თუ გურიის ნაძირალებმა ისარგებლეს შემთხვევით და მოძმე აჭარელთა სახლკარი დასცარცვეს, ურცხვად გაჰქურდეს. ამ საშინელმა და თან შემაძრწუნებელმა ამბავმა გამოიწვია ერთიანი აღშფოთება ქართული საზოგადოებრივი აზრისა, რასაც თვით გურულთა ფიცხელი ზომებიც მოჰყვა ქურდების აღმოსაჩენად.

გურული თან და თან ირკვევა, მაგრამ საქმე აჭარელთა მდგომარეობის გაგებისა და შემცნობისა მაინც ნელის ნაბიჯით მიდის წინ. ადგილობრივი ინტელიგენცია საქართველოს დედაქალაქში დაწყებულ მოძრაობას აჭარელთა ეროვნულ სხეულისთვის დაახლოვებისშესახებ ერთხმობით გაკვირვებით შეჰყურებს, რადგან ბევრი რამ ამ მოძრაობისა არ ეპოვნებოდა სოც.-დემოკრატიულ ხალას პროგრამას. ამ გაუგებრობასა და რყევას ამ ბოლო დროს დასტური დასცეს გაზ. „თანამედროვე აზრის“ მესვეურებმაც. მათ, სამწუხაროდ მთელი ქართველი ერისა და მტრის გულის მოსაგებად, დღესაც სადაოდ მიაჩნიათ აჭარელთა ქართველობა და რაღაც ბუნდოვან ზოგად ფორმულებს გვისვეს ხაზი ჭარბად აღტკინებულ ეროვნული ვაკხანალიის მონაწილეთა ჭკუის სასწავლებლად. ეს გარემოება ფრიად ხელსაყრელია და ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმ აზრს, რომ გურულთა ეროვნულ საკითხში გულგრილობა ზევიდან ჩანაძახი მონაბერია, თორემ თვით ხალხის გული ყოველთვის მზად იქნება და არის კიდეც, რომ თავისი ერთტომი და ერთსისხლი გაჭირვებული მეზობელი შეიძმოს და მასთან ერთად, მიუხედავად სარწმუნოებრივ განსხვავებისა, სწიოს მძიმე ჭაპანი რთულ ეროვნულ ცხოვრებისა. ამ აზრის გასამტკიცებლად მრავალ საყურადღებო უკვე მომხდარ ამბავზე შეიძლება მითითება. განა უკანასკნელი 15 წლის გურულთა ცხოვრება ერთი უსაშინელესი ბრძოლათაგანი არ იყო, რომელშიაც, სალი ანალიზის და მოვლენათა მიუდგომლობის თვალსაზრისით რომ გავსაჯოთ, ეროვნულ შევიწროებისა და მოხელეთა თვითნებობისაგან თავის დაღწევას ლამობდა განაწამები გლეხობა?.. დღეს, როცა კავკასიის უმაღლეს მართველობის საქმეში ცვლილება მოხდა და წარსულ მოღვაწეობის ავსონნი ისტორიის [illegible]რუთვნელ სამსჯავროს წინაშე სდგანან, ამ ამბებზე უფრო დინჯად და სისწორით შეიძლება ლაპარაკი.

დ. არონიშიძე.

(შემდეგი იქნება)

---

*) იხ. „საქარ.“ № 215.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეპელინების ახალი მოწყობილობა.

ინგლისურ გაზეთებში საგულისხმო ცნობაა დაბეჭდილი გერმანულ ცეპელინების შესახებ, რომელთაც ლონდონის მიდამოებზე იერიში მიიტანეს. ამ ცეპელინებს, თურმე ჯაჭვზე მობმული აქვს ალიუმენისაგან გაკეთებული პატარა ყუთი, რომელშიაც კაცია მოთავსებული. ამ ყუთს „ცეპელინი“ ღრუბლების ქვემოდ ჩამოუშვებს და შიგ მჯდომი ტელეფონით ატყობინებს ზევით ცეპელინზე მყოფთ, თუ საით უნდა მიმართონ ყუმბარები.

ვილჰელმის შეწირულება.

იმპერატორმა ვილჰელმმა გერმანეთის საიმპერიო ბანკს გადასცა თავისი სასახლის ყოველგვარი ძვირფასეულობა, გარდა უმაღლესად ხელოვნურ ნივთებისა.

წყალქვეშები ნორვეგიაში.

„მირგან ბადტ“-ის ცნობით, ნორვეგიის წყლებში თავს აფარებს თურმე გერმანელების წყალქვეშა ნავები.

უდიდესი გემი.

ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში განუზრახავთ ისეთი უზარმაზარი გემი ააგონ, რომელიც 3 მილიონ ნახევარ ფუთზე მეტს ჰზიდავს.

ხკაგერაკთან ბრძოლის შედეგი

ადმირალ ფოოსის მოხსენებით ამ ზაფხულს ზღვაზე მომხდარ უდიდეს ბრძოლის დროს ინგლისელებს დაჰღუპიათ საერთოდ თითქმის 15 მილიონ ფუთის მზიდველი გემები და 4860 მეზღვაური. გერმანელებს დაღუპვიათ ოთხ მილიონამდე ფუთის მზიდველი გემები და 1624 მეზღვაური.

გერმანელების ზარალი.

„დეილი ქრონიკლ“-ის ცნობით, გერმანელების ჯარს მხოლოდ მარიამობის-თვეში დაჰკლებია დაჭრილ-დახოცილები და ტყვეები სულ 240,957 კაცი. მთელი ომის განმავლობაში კი დაჰკლებია სამი მილიონი და 376,000.

საბერძნეთში.

რადგანაც კალაგეროპულოს სამინისტროს მოკავშირე სახელმწიფოთა ღესპანებმა ანგარიში არ გაუწიეს და ბოიკოტი გამოუცხადეს, კალაგეროპულოსის სამინისტრომ მეფე კონსტანტინეს გადადგომის თხოვნა მისცა.

—

ზაიმისის სამინისტროს გადადგომის მიზეზებს ეხლა დაწვრილებით გადმოგვცემენ გაზეთები. შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუკითხავად, მეფე კონსტანტინეს განკარგულებით, გენერალ კარალამბის ათინის მეციხოვნე ჯარისთვის ბრძანება მიუცია სათადარიგო ჯარის კაცთა ლიგის მოქმედებას ხელს ნუ შეუშლითო. ამ ლიგაში მყოფ პოლიციის აგენტებს დაუწყვიათ ჩხრეკადაპატიმრება ვენეზილოსისა და მოკავშირეთა მომხრეებისა. ზაიმისს მოკავშირე სახელმწიფონი მაშინვე შეეკითხნენ ასეთი საქციელის გამო. ზაიმისმა უპასუხა, ვერაფერს გავაწყობ, რადგანაც ბრძანება მეფისაგან არის მიცემულიო. მეორე შემთხვევა იყო იმ სამხედრო პირთა მიღება მეფე კონსტანტინესაგან, რომელნიც სარაილმა მაკედონიიდან გამოაძევა. ზაიმისმა ურჩია მეფეს, არამც და არამც ამ აფიცერთა დეპუტაცია არ მიეღო, რადგანაც ისინი აშკარა მომხრენი არიან გერმანეთისაო. მეფემ მაინც სადარბაზოდ მიიღო აფიცრები და გზაც დაულოცა სამოქმედოდ. ზაიმისი მაშინვე გადადგა.

—

„ბ. ც.“-ი სწერს: მოკავშირეებმა მთელი თავისი გულისყური საბერძნეთის დროებით მთავრობას უნდა მიაპყრონ და მასთან უნდა იქონიონ საქმე. კალოგეროპულოსის მოადგილე, ალბად, მისივე ფერისა იქნება, თუ კი მეფე არ დასთანხმდა ვენიზელოსის მიწვევას, რაც ძალიან საეჭვოა. ვენიზელოსის მიერ შედგენილი დროებითი მთავრობა კი სცდილობს ლეგალურ მთავრობად აქციოს, რისთვისაც სოლუნში იწვევს მეფე კონსტანტინეს განკარგულებით დათხოვნილს ძველი პალატის დეპუტატებს.

უკანასკნელი დეპეშები

იმ საკითხის გამო ირლანდიაში ინგლისის მთავრობამ ჯარი გაიწვიოს თუ არა, ინგლისის მთავრობამ დაადგინა: ულსტერში აუცილებლად გაიწვიოს, ხოლო სხვა კუთხეებში მოხალისეები დარაზმოს.

—

სამხედრო პირნი იტყობინებიან: ვლადიმირ-ვოლინის მიმართულებით რუსის ჯარმა წინ წაიწიაო; ჯერჯერობით ზედმეტი იქნება კაცი ოპტიმიზმს მიეცეს. ჯერ დანამდვილებით არ იციან რუსის ჯარმა სად გაარღვია და ან ეს გარღვევა რამდენად დიდია. ამის გარდა უნდა ისიც ვიცოდეთ, რომ ამ ფრონტზე გერმანელებმა დიდი სიმაგრეები ააგეს, რომლის მეოხებით შიგნით შეჭრა და ჯარის გარღვევა არა თუ სახარებლო ხდება, არამედ მეტად საზარალოც, რადგან შეჭრილი ჯარი ორივე ფრთის მახეში ებმება. მიუხედავად ამისა, ხაზის გარღვევა მაინც საგულისხმოა, რაც ეს იმის მომასწავებელია, რომ რუსის ჯარი მოქმედობს და ინიციატივა არ დაუკარგავს.

—

„უტრო როსიის“ ცნობით გერმანეთში სესხის ხელის მოწერა დასრულდა. ხელი მოაწერეს ათნახევარ მილიარდ მარკაზე.

—

ამბობენ მოკავშირეები საბერძნეთში სიტყვებს აღარ დაჰხარჯავენ და პირდაპირ საქმეს შეუდგებიანო. ინგლისელებს განზრახვა აქვთ ლარისის რკინის გზა ხელთ ჩაიგდონ და მთელ საბერძნეთის რკინის გზებზე თავიანთი კანტროლი დააწესონ.

—

სერბეთის აღწერა დასრულებულა. აღმოჩენილა 1,400,000 მცხოვრები, აქედან მამაკაცი მხოლოდ 600,000 ყოფილა.

—

გაზეთების ცნობით გერმანელები ჰაეროპლანებიდან სულ სხვა ჯურის ყუმბარებს ისვრიან. ეს ყუმბარები ჰაერშივე სქდება და აქეთ იქით იფანტება. ამ ყუმბარებს ტრიალს მინდორზე და სწორე ადგილზე ხმარობენ.

—

ბულგარელი ავიატორი რუმინეთის ქალაქებში პროკლამაციებს, ხელცახოცებს და ტკბილეულობას ჰყრიან. ამის გამო ბუქარესტის გაზეთი განცხადებით მოუწოდებს, რომ მფრინავებისგან ჩამოყრილი არ აიღონ, რადგან შიგ შხამი და მიკრობებიაო.

—

სატახტო გაზეთების ცნობით საბერძნეთის ახალი სამინისტრო თანამდებობიდან გადამდგარა. ზოგიერთ გაზეთში ცნობაა, რომ ახალ გერმანოფილურ სამინისტროს არდგენენო და ზოგიერთის ცნობით მეფე კონსტანტინემ სახელმწიფოს სხვა და სხვა სამხედრო და სამოქალაქო გამოჩენილი მოღვაწენი მიიწვია და ეთათბირაო. დაბეჯითებით ამბობენ, თუ ახალი კაბინეტი მოკავშირეებს არ მიემხრო, მოკავშირენი არ მიიღებენო.

—

ვილჰელმი კოველში მისულა და ლინცენგის მოხსენება მოუსმენია. მოხსენება უკანასკნელ ბრძოლებს შეეხებოდა. ვილჰელმი აქედან ვლადიმერ-ვოლინში წასულა ჯარის დასათვალიერებლად.

—

ამ ბოლო დროს მდ. სომაზე იმდენად გაცხარებული ბრძოლა სწარმოებს, რომ ზარბაზნების გრიალი პარიზის მიდამოებ მდე აწევს. ამბობენ: აქ რაღაც გადამწყვეტი ამბავი უნდა მოხდესო.

—

რუმინეთის საზღვართან რუსის გემს გერმანეთის წყალქვეშასთან ბრძოლა მოუხდა. რუსებმა ოსმალეთის მცურავი ნავი შეიპყრეს.

ახალი ამბავი

სასახლეში.

◆ **მეფის ნაცვალს** 26 ენკენისთვეს სალამოს 7 საათზე სადილად ჰყავდა მიწვეული გრაფი ვ. ნ. კოკოვცევი მეუღლით.

ქართული დაწესებულებანი

◆ **ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების** მიერ 27 ამ თვეს გამართულმა ყულაბებით ფულის შეგროვებამ ჩინებულად ჩაიარა. როგორც ამბობენ, 5 ათას მანეთამდე უნდა იყვეს შემოსული. ქალთა წრემ, რომელიც ამ საქმეს ხელმძღვანელობდა, დიდი ენერგია გამოიჩინა.

◆ **დაეხმარეთ ომისაგან დაზარალებულ ქართველებს!** ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ გადასწყვიტა, ყულაბებით ფული მოკრიბოს მცხეთაში 1 ღვინობისთვეს, სვეტიცხოვლობის დღეს. საქმის ხელმძღვანელობა იკისრეს ქართველმა მანდილოსნებმა, რომელნიც უკვე შეუდგნენ მუშაობას. ნებართვა უკვე აღებულია მეფის ნაცვლის კანცელარიისაგან, რის შესახებ ბ-ნმა გუბერნატორმა კიდევაც აცნობა დუშეთის მაზრის უფროსს.

◆ **ზრუნვა ვაზის წამლის მოსაპოებლად.** ქართული სასოფლო სამეურნეო საზოგადოება ეხლავე შეუდგა მომავალი წლისთვის ვაზის წამლის მოპოვების ზრუნვას. დღეს, 29 ენკენისთვეს, სალამოს 8 საათზე, საზოგადოების საბჭოს სხდომა ექნება ამ საკითხის სავსებით გამოსარკვევად.

◆ **კრების გადადება.** 27 ამა თვეს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის კრება არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო.

მთავრობის დაწესებულებანი.

◆ **სავალდებულო დადგენილება ნახმარ ტანთსაცმელზე.** თბ. გუბერნატორმა ფლ.-ად. მანდრიკამ გამოსცა სავალდებულო დადგენილება ნახმარ ტანთსაცმელის და შინაურ ძველ ავეჯეულობის გამსყიდავთა საყურადღებოდ. თანახმად ამ დადგენილებისა არავის ნება არა აქვს ქალაქის გამგეობის ნება-დაურთველად ივაჭროს ამ ნივთებით. ძველი ნივთების მსყიდველთ ხელზე ტარების ნება უთმოროდ ან უბოხჩოთ აღკრძალული აქვთ. მათი საჯარო გაყიდვა იმ ალაგებში უნდა სწარმოებდეს, საცა ქალაქის გამგეობა უჩვენებს. აღკრძალულია ბაზარზე ახლო, სადაც სანოვაგე იყიდება, ამ ნივთებით ვაჭრობა.

◆ **მიწების გაუმჯობესება.** თბილისში ჩამოვიდა მიწადმოქმედების სამინისტროს რწმუნებული თ-დი ვ. ი. მასალსკი, რომელსაც დავალებული აქვს სამინისტროსაგან მიწების გაუმჯობესების საკითხის გაცნობა კავკასიაში.

◆ **საოლქო სასამართლოს** თავმჯდომარე ნ. ა. ტოლპიგო თიანეთიდან თბილისს დაბრუნდა.

◆ **გრაფი ვ. ნ. კოკოვცევი** მეუღლითურთ, გუშინ გაემგზავრა ქსტაფას და იქიდან ერევანს, 30 ენკენისთვეს დაბრუნდება უკანვე თბილისში, იმავე დღეს გაემგზავრება ბორჯომს და იქიდან რიონ-ახალსენაკის გზით ტუაპსეში.

◆ **ჯარიმა.** თბ. გუბერნატორმა ორი ათას მანათით დააჯარიმა ილია ნასრაძე ნიხრის დარღვევისათვის.

◆ **ქ. ი. შაშკოვსკი და გენ. ლ. თ-დი ბ. ი. ჯამბაკურ-ორბელიანი** გაემგზავრნენ ბათომს.

◆ **მეფის ნაცვლის საბჭოს წევრი** ი. პ. პროტასიევი გაემგზავრა ჰიათურაში.

◆ **სასტუმრო „ნოეს“** პატრონი ნ. სიხარულიძეს თბ. გუბერნატორმა 1000 მან. ჯარიმა აპატია.

ქალაქის დაწესებულებანი

◆ **ფულის გადადება.** ქალაქის საბჭომ მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვის ანგარიშში 20,000 მანეთი გადასდვა ქალაქის გასასუფთავებლად.

◆ **ფქვილის დაკვეთა.** ქალაქის გამგეობას ბ-ნ შაშკოვსკის საშვალებით 200 ათასი ფუთი ფქვილი („რაზმოლი“) დაუკვეთნია სტავროპოლში გულიევის წისქვილში, თითო ტომარა (5 ფუთი) 14 მანეთად.

◆ **ქალაქის მოსამსახურეთა** ეკონომიურ საზოგადოების წევრთა უკანასკნელ კრებაზე დადგენილ იქმნა საკულტურო საგანმანათლებლო მიზნით დაარსდეს კლუბი, საბავშვო სათამაშო მოედნები, ლექციების და კურსების მოწყობა და სხვა. არჩეულ იქმნა საგანგებო საკულტ. საგანმანათლებლო კომისია, რომელშიაც მოჰყვნენ შემდეგი ქართველებიც, ე. რ. იაშვილი, ე. ნ. ფურცელაძე, ივ. თუშმალაშვილი და ლ. ნ. ცინცაძე.

◆ **ერევნის ქალაქის მოურავი** ბ. ხაჩატურიანი ამ ჟამად თბილისში იმყოფება და შუამდგომლობს 100 ვაგონ შეშის გატანას ერევანში, ვინაიდ ნ უშეშობის გამო ქალაქი გაუნათებელია ამ ჟამად.

◆ **ხოლერა.** 28 ამა თვეს, ქალაქის ლაზარეთში № 40 იმყოფებოდნენ: ხოლერიანი 44 და ხოლერის ნიშნებით 1 კაცი. 27 ენკენისთვეს გარდაიცვალა ხოლერიანი 1 და გაეწერა ლაზარეთიდან 4 კაცი; ხოლერის ნიშნებიანთაგან გადარიცხეს ხოლერიანებში 2 და გასწერეს ლაზარეთიდან 12 კაცი.

◆ **გ. დ. ჟურული,** ქალაქის გამგეობის წევრი, ავად გახდა და 27 ამა თვიდან სამსახურში ვეღარ დადის.

◆ **დაჭრილ ჯარისკაცების** მომვლელი კომიტეტი ქალაქთა კავშირის განყოფილებას 50 ათას მანეთსა სთხოვს ლაზარეთების ხარჯების გასაძღოლად.

◆ **ქალაქთა კავშირის ლაზარეთში** № 27 იყო 350 საწოლი, მიემატა 20; ლაზარეთში № 29 იყო 200 საწოლი და მიუმატეს 40.

სასულიერო უწყებაში.

◆ **ეპ. ანტონი** პეტროგრადიდან თბილისს დაბრუნდა.

◆ **კავკავის ეპ. ანტონინი** ამ დღეებში თბილისს ჩამოვა სამკურნალოდ.

◆ **სასულიერო სემინარიის** ახლად დანიშნულ რექტორმა დეკ. ქ. ქაქელიძემ მილოცვა მიიღო დეპეშით მიტროპოლიტ პიტირიმისაგან.

◆ **აისორთა ეპ. პიმენი** გაემგზავრა სალმასს, ურმიაში.

სასამართლო

◆ **ექიმ გულგულიანცის მკვლელობა.** ხვალ, 30 ენკენისთვეს, თბ. საოლქო სასამართლოში დანიშნულია საქმის გარჩევა 1915 წ. 15 მარტს მოკლულ ვერის სასაფლაოზე ექიმ გულგულიანცისა. სასამართლში მიცემული არიან 11 პირი 14—20 წლოვანნი. გამოწვეულნი არიან 50 მოწმე და ექსპერტებად ექიმები.

სომეხთა შორის.

◆ **სომხური დასი.** შესდგა სომეხ მსახიობთა განსაკუთრებული დასი, რომელიც წარმოდგენების მართვას აპირებს ამ სეზონში. დასს ხელმძღვანელობენ ქ-ნი მაისურიანი და ბ-ნნი აბელიანი, ზარიფიანი, არუთინიანი და ალიხანიანი.

◆ **გადმოხვეწილ სომეხთათვის** განზრახულია გამართონ ურმიის ტბასთან, დანალუში, თავშესაფარი 100 საწოლით.

სხვა და სხვა ამბები.

◆ **გამოჩენილი მწერლის ჩამოსვლა.** 27 ამა თვეს თბილისს ეწვია რუსის ცნობილი მწერალი ა. ი. კუპრინი, რომელიც კავკავიდან ავტომობილით ჩამოვიდა თავისი სახლობით. მწერალი ბინად ჩამოხტა თავის ნაცნობ თევდორე დოლიძესთან. იმავე დღეს, სალამოთი, კუპრინი ეწვია ძმ. ეფიმოვების ცირკს, რადგან ჩემპიონი ზაიკინი მისი კარგი მეგობარი ყოფილა. ცირკში მყოფმა საზოგადოებამ რომ გაიგო კუპრინის იქ ყოფნა, დიდი ავაცია გაუმართა მას. კუპრინი მიწვეულ იქმნა „ჟიური“-ს თავმჯდომარედ. გუშინ, 28 ამა თვეს, ცირკის ჩემპიონებმა სადილი გაუმართეს მწერალს. 1 და 2 ღვინობისთვეს ბ-ნი კუპრინი მუსიკალურ საზოგადოების დარბაზში ლექციას წაიკითხავს შემდეგ თემაზე: „ჩეხოვიდან ლღევანდლამდე“-

◆ **თუშების დეპუტაცია.** თბილისში ჩამოვიდნენ თუშეთის ორივე ნაწილის წარმომადგენლები რიცხვით 18 კაცი, რომელთაც უნდა იშუამდგომლონ მეფის ნაცვლის წინაშე, რათა იქმნეს რაიმე ზომები მიღებული ქისტთა და დიდოთა ძარცვა-რბევის წინააღმდეგ.

◆ **თუშების კოოპერატივი.** თუშების შემნახველ-გამსესხებელმა ამხანაგობამ მიიღო წინადადება ყუბანის ოლქის კავშირისაგან მიჰყიდოს მას მთელი თავისი მატყლი. თუშები გზავნიან იქ ი. ბობღიაშვილს და თან ატანენ მატყლის ნიმუშს.

◆ **კვირას,** 25 ენკენისთვეს ბ. რატიანის კანტორაში, სიონის ქუჩაზე მოხდა თბილისის კოოპერატიული საზოგადოების „შრომის“ საზოგადო კრება. კრებას დაესწრენ 30 დე წევრი კრების თავჯდომარეთ ერთხმათ აირჩიეს ს. ა. ქვარიანი, მდივნათ ბ. გ. რატიანი. კრებამ განიხილა სხვა და სხვა მ მდინარე საკითხები და ბოლოს მოახდინა გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები. გამგეობის წევრებათ ერთხმათ აირჩიეს ს ა. ქვარიანი, პლ. რატიანი, შ. გ. რატიანი, ს. ს. ლარიბოვი, ა. შახვალადოვი გ. ა. მარშანია და ბ. ლევშინი. კანდიდატებათ კონდარჩევი და ნაზარიანცი. სარევიზიო კომისიის წევრებათ კი აირჩიეს პ. ა. გოთუა, ს. შ.ჰყონია და ი. ა. კონფელზანი. კანდიდატებათ არტ. დვალი და ბ. ლიტვინენკო.

◆ **თბილისის** კოოპერატიული საზოგადოება „შრომის“ გამგეობა ამით აცხადებს, რომ საზოგადოება 26 ამ თვიდან უკვე შეუდგა თავის საქმეთა წარმოებას. მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ საზოგადოების წევრებათ და შეიტინონ პაის ფული ყოველ დღე, კვირა უქმეს გარდა სალამოს 8-დან 9 საათამდე, შ. რატიანის კანტორაში, სიონის ქუჩაზე, ანანოვის ქარვასლაში.

◆ **დაბრუნდა თბილისში** 27 ამა თვეს ეპისკოპოზი გორისა ყოვლად სამღვდელო ანტონი, რომელიც პეტროგრადში იყო მიპატიჟებული არქიმანდრიტ მელქისედეკის ეპისკოპოსად კურთხევაში მონაწილეობის მისაღებად.

◆ **კარლო ჩხეიძე,** სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი დღეს პეტროგრადს მიემგზავრება.

◆ **კრება.** დღეს სალამოს მეფის ნაცვლის კანცელარიის დარბაზში კრება ექნება გეოგრაფიულ საზოგადოებას.

◆ **ახალი სამეურნეო ბანკი.** სოფ. ბაშკიჩეთში, ბორჩალოს მაზრა, არსდება ახალი სამეურნეო ბანკი. საქმეს სათავეში ბორჩალოს მაზრის თ-დ-აზნ. წინამძღოლის მოადგილე ქ. ი. სვიმონიშვილი უდგას. წესდება უკვე შედგენილია და სამინისტროს წარედგინება დასამტკიცებლად. ბანკს დიდი მნიშვნელობა ექნება თრიალეთის კუთხის მეურნე მეცხვარეებისათვის.

თელავი.

ღვინის ვაჭრობა დღემდე აღკრძალული იყო წითელ და ლურჯ ბილეთიანების გაწვევის გამო, ეხლა ისევ ვაჭრობის ნება დართეს.

— აქაური მეპურენი ეხლა მეტ წილად თეთრ პურს აცხობენ; სრულიად გამოუშრობელსა ხდიან და ცომს ჰყიდიან გირ. 10 კ. თუ წითელი პური გამოაცხეს, ისეთი მწარეა, რომ პირუტყვს არ ეჭმება არამც თუ ადამიანს.

— 21 სექტემბერს ალავერდიდან თელავში მომავალ ბარგის ურმიდგან გადმოვარდა ღვინო ნასვამი ვინმე ყასაბი მაჩიტაძე, რომელსაც მუცელზე გადაუარა ურმის თვალმა და იქვე მოკლა.

ქალაქის საბჭო

27 ენკენისთვე.

კრება გაიხსნა **ა. ი. ხატისოვის** თავმჯდომარეობით სალამოს 8 საათზე 30 წუთზე.

თავმჯდომარემ კრებას მოახსენა ცნობები ხოლერის შემცირების შესახებ. ერთი კვირის წინედო,—განაცხადა ბ-ნმა ხატისოვმა, ლაზარეთში 114 ხოლერიანი იმყოფებოდა, დღეს-კი მხოლოდ 45 კაცი არის და ახალიც არავინ ემატებაო. ამ რიგად ბ-ნი ხატისოვი ეპიდემიას მოსპობილად სთვლის და ეს 45 კაციც ჩქარა დასტოვებს ლაზარეთსო.

ბ-ნმა თავმჯდომარემ უფრო დაწვრილებითი ცნობები მოახსენა საბჭოს საგანგებო თათბირის შესახებ, რომელიც მოხდა 25 ამა თვეს სასურსათო საქმეების რწმუნებულის ქ. ი. შაშკოვსკის თავმჯდომარეობით. თათბირის ოქმი დაბეჭდილია წიგნაკებად და მისი შინაარსი, რომელიც ბ-ნმა ხატისოვმაც საკმაოდ ვრცლად გადასცა კრებას, ასეთია.

თათბირს დაესწრნენ: ბ-ნი თბილისის გუბერნატორი, საკანტროლო პალატის გამგე, საინტენდანტოს წარმომადგენელი, ქალაქის მოურავი და ქალაქის გამგეობის წევრნი, ქალაქის სასურსათო კომისიის წევრნი და სხ. თათბირზე ბევრი ილაპარაკეს სასურსათო საქმის მდგომარეობის შესახებ სატახტო ქალაქებსა და სხვა ზოგიერთ დიდ ქალაქშიაც, ხორბლისა და ფქვილის ფასების შესახებ, საერთო კრიზისზე, რომელიც ომიანობამ გამოიწვია საერთოდ რუსეთში და სხვა.

ბ-ნმა შაშკოვსკიმ, მაგალითად, შემდეგი განაცხადა თათბირზე: „პეტროგრადში ერთი გირვანქა ხორცის ყიდვა რომ გინდოდეს, რომელიც ფასობს მანეთად და უფრო ძვირადაც, წინა დღით, სალამოთი, რიგში უნდა ჩადგე; ხორცი იქნებ არც ერგოს. პურის ყიდვას რომ ეღირსო, რომელიც გირვანქა 12—20 კაპეიკი ფასობს, „კუდში“ უნდა იდგე მთელი ღამე. ბევრს ქალაქში თითო კაცის თავზე თვეში იძლევიან მხოლოდ 1—1½ გირვანქა ფხვნილ შაქარს“. რაც ბ-ნ შაშკოვსკის პეტროგრადში დუქნებისა და ფურნეების წინ „კუდები“ უნახავს, იმათთან შედარებით, როგორც თითონ ალვიარა, თბილისის „კუდები“ საარაკოდ პატარებიაო. ამ თავისი თვალით ნახულის მიხედვით ბ-ნი შაშკოვსკი ამტკიცებდა, რომ თბილისშიაც სერიოზულ მდგომარეობაშია სასურსათო საქმე და ყოვლის ძალღონით უნდა ვეცადოთ კრიზისმა ფართე ხასიათი არ მიიღოს, მაგრამ შედარებით აქ ბევრად უფრო კარგად ვცხოვრობთ, ვიდრე შიდა რუსეთის დიდ ქალაქებშიო. შეეხო-რა ხორბლისა და ფქვილის გაძვირებას, ბ-ნმა შაშკოვსკიმ, თუმცა ფრთხილად, მაგრამ გადაჭრით, საჭიროდ სცნო გამომცხვარ პურზე ნიხრის გადიდება. თათბირის დანარჩენმა მონაწილეებმაც საჭიროდ სცნეს პურის ფასის აწევა და ბ-ნმა ჯაბარმა კი ეს აზრი გაბედულად გამოაცხადა. მხოლოდ ბ-ნი გუბერნატორი, პოლკოვნიკი მანდრიკა, ერთობ ფრთხილად ამბობდა, რომ პოლიციის მოსამსახურეთა ფურნეს, როგორც პოლიცმეისტერის კანცელარიიდან სჩანს, თვეში 300 მანეთამდე მოგება რჩება და როგორ ხდება ეს, როცა მეპურეები, როგორც თითონ სჩივიან, პირიქით აგებენ კიდევაცო. აზრთა საკმაოდ გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, თათბირის მონაწილეებმა აუცილებლად სცნეს: მეპურეებმა აცხონ თეთრი პურიცა და შავიც; გირვანქა ფურნის შავ პურზე ფასად დაწესდა 8 კაპ., თორნისაზე 8½ კაპ.; გირვანქა ფურნის თეთრ პურზე 10 კაპ., თორნისაზე 10½ კაპ. ხორცეულობას სამაგიეროდ დააკლდა ფასები: გირვანქა ძროხის ხორცზე დაწესდა 30 კაპ. (ნაცვლად 33 კაპ.), ცხვრისაზე 33 კ. (ნაცვლად 37 კაპ.), ღორისაზე 32 კაპ., ღორის ქონზე 50 კაპ.

ხმ. ქანანოვი. განა გაჰყიდიან კი მეპურეები მე-2 ხარისხის პურს? უფრო უნდა ვიფიქროთ, რომ მე-2 ხარისხისას პირველ ხარისხის ფასებში გაჰყიდიან.

თავმჯდომარე **ა. ი. ხატისოვი.** მეპურეები შემოგვპირდნენ, რომ შემუშავებულ წესებს არ დავარღვევთო.

ხმ. გალსტიანს აკვირვირვებს ის, რომ რა წამს სასურსათო თათბირი დასრულდა და პურს ფასი მოემატა, მაშინვე ფქვილი გაჩნდა ფურნეებში და თეთრი პურიც კი ხელად გამოცხვა.

გამგეობის წევრი **მ. ა. ჯაბარი** უპასუხებს ხმ. გალსტიანს და ამტკიცებს, რომ ეს შემთხვევითი გარემოება იყო, წელეედ მაშინ მიიღეს მეპურეებმა ფქვილიო.

კრებამ მხედველობაში მიიღო აღნიშნული მთელი მოხსენება.

შემდეგ საბჭომ გამგეობის მოხსენების თანახმად 800 მან. გადასდვა ქალაქის სამხედრო საკრებულოსათვის მოსამსახურეთა შტატის გასადიდებლად და საკანცელარიო ნივთების შესაძენად, რაიცა გამოუწვევია იმ გარემოებას, რომ 1898 წელში დაბადებულები უნდა გაიწვიონ სამსახურში.

გამგეობის წევრმა **ა. მ. არღუთინსკიმ** მოხსენება წაიკითხა შესახებ ტრამვაის ლიანდაგის გასუფთავებისა. როცა ტრამვაი ბელგიის საზოგადოებას ეკუთვნოდა, ლიანდაგს თითონვე ასუფთავებდა, ხოლო როცა ტრამვაი ქალაქის ხელში გადმოვიდა, გამგეობამ ნებართვა სთხოვა საბჭოს, რომ ლიანდაგის გასუფთავება სახლის პატრონთათვის დაეკისრებინა. მაშინ საბჭომ დროებით ამ საკითხის სავსებით გადაწყვეტა შეაჩერა, რადგან ტრამვაის შესახებ საქმე დამთავრებული არ იყო და ლიანდაგის გასუფთავება ქალაქის გამგეობას დაავალა. ეხლა, როგორც მომხსენებელმა განმარტა, გარემობა საქმის მდგომარეობისა შეიცვალა და საბჭომ ლიანდაგის გასუფთავებისაგან გამგეობა უნდა გაანთავისუფლოს და ეს მოვალეობა სახლის პატრონებს უნდა დააკისროს. ეს მომხსენებელის აზრით, მით უფრო საჭიროა, რომ გამგეობას ამ საქმეზე აქამდისინ ეხარჯებოდა 24,000 მანეთი, ხოლო ამის შემდეგ კი 50,000 მანეთი დაეხარჯება.

ხმ. ქანანოვი. ნახსენებ 24.000 მანეთს, რომელიც ლიანდაგის გასუფთავებაზე გეხარჯებოდათ, სახლის პატრონებს ხომ არ მისცემთ?

გამგეობის წევრი **ა. მ. არღუთინსკი.** რათა! ფული გამგეობის კასაში დარჩება.

ხმ. ხვეშნიკოვი. სანიტარულად ლიანდაგის დაცვის შესახებ ვინ იქნება პასუხის მგებელი: სახლის პატრონი, ქალაქის გამგეობა თუ, თუ ტრამვაის მოსამსახურე, რომელიც რელსებს სწმენდავს?

ხმ. შავერდოვი რაღა თქმა უნდა, პასუხის მგებელი იქნებიან სახლის პატრონები.

ხმ. ხვეშნიკოვი. თანახმა არ არის მოხსენებისა და თხოულობს, რომ, სანამ სამართალში არ გათავებულა საქმე ტრამვაის შესახებ, ლიანდაგის გასუფთავება ჯერ კიდევ გამგეობის ვალდებულებას შეადგენდეს.

საბჭომ ხმის უმეტესობით შეიწყნარა გამგეობის მოხსენება.

ქალაქის მოურავმა **ა. ი. ხატისოვმა** კრებას აუწყა, რომ ჩემთან იყვნენო ბელგიის მთავრობის ვარშავის გენერალ კონსული და ბელგიის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელი რონბი და მთხოვესო, რომ ბელგიის უსახელო საზოგადოებასთან მშვიდობიანად, მორიგებით, გაათავოს ჩვენი ქალაქის თვითმართველობამ საქმე. ქალაქის საბჭოსაგან ასეთ საგანზე მოსალაპარაკებლად მე მონდობილება არა მქონია, მაგრამ რადგან ყოველივე სადავო საქმის გადაწყვეტა მშვიდობიანად სჯობიან და ამის წინააღმდეგი არც თქვენ იქნებით, მე განვუცხადე გენერალ კონსულს და ბ-ონ რონბის, რომ ქალაქი თანახმა იქნება მორიგებით გაათავოს საქმე, მაგრამ იმ პირობით, რომ ქალაქის ინტერესები სავსებით დაცული იყოსო.

საბჭომ მხედველობაში მიიღო ბ-ნ ხატისოვის მოხსენება.

გამგეობის წევრმა ა. მ. არლუთინკიმ მოხსენება წაიკითხა დამატებითი 45.000 მანეთის გადადების საჭიროების შესახებ შიოევისეულ სახლის შენობის დასამთავრებლად. ამავე საქმისათვის წარსული წლის მიწურულში საბჭომ დამატებით გადასდვა 34.000 მანეთი, მაგრამ მუშა ხალხისა და ყოველგვარ მასალის გაძვირების გამო ხელმეორედ საჭირო გამხდარა კიდევ ზედმეტი ფულის დახარჯვა, თორემ ისე მოიჯარადრენი მუშაობის გაგრძელებას აღარ აპირებენ. შენობის მიტოვებაც აღარ შეიძლება, რადგან მთელი შავი სამუშაო დასრულებულია და მხოლოდღა დარჩენილია შენობის შიდა ნაწილის შეკეთება და გაწყობა. საბჭო თუ წინადადებას შეიწყნარებს, სახლი, მომხსენებლის აზრით, ჩქარა დამთავრდება, მაღაზიების გაქირავება ერთი თვის შემდეგ შესაძლებელი იქნება და ამ რიგად ქალაქის თვითმართველობას ახალი შემოსავლის წყარო გაუჩნდება.

ხმ. გოგიჩაიშვილი კითხულობს: რა გარანტია არის იმისა, რომ მოიჯარადრენი კიდევ არ მოითხოვენ მომატებას, ვინაიდან ცხოვრება და მასალა მუდამ დღე ძვირდება? ორატორი წინააღმდეგია გამგეობის მოხსენებისა და ამტკიცებს, რომ ყველა კომერსანტს, რომელიც რაიმე საქმეს ჰკიდებს ხელს, მით უფრო ეხლანდელ დროში, გათვალისწინებული უნდა ქონდეს ყოველგვარი მოსალოდნელი შემთხვევა და იმის კვალობაზე უნდა შეკრას პირობა, თორემ ყოველ წუთში ვის გაუგონია პირობის დარღვევა და ზედმეტი სასყიდლის მოთხოვნა. ამიტომ ბ-ნი გოგიჩაიშვილი თხოულობს, რომ ეხლანდელი მოიჯარადრე, რომელიც მუშაობის გაგრძელებაზე უარს ამბობს, გაუშვას გამგეობამ და მის ნაცვლად სხვას გადასცეს საქმე დასამთავრებლად.

საბჭომ ხმის უმეტესობით შეიწყნარა გამგეობის მოხსენება და 45.000 მანეთი გადასდვა.

უპატრონო ხალხი

ნათქვამია: „უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო“. ეს ხალხური ანდაზა სწორედ ჩვენს ბეჩავ ხალხზედ არის ზედ გამოჭრილი!

ჯერ იყოდა წყალდიდობამ, მოუსავლობამ, შიმშილმა და სილატაკემ უკანასკნელს გაჭირვებამდე მიიყვანა ისედაც მსოფლიო ომისაგან განადგურებული ხალხი და გზა და კვალი აურია, მაგრამ კიდევ რაღაცის იმედით სულდგმულობდა და ეს რაღაცა ის იყო, რომ თითო ოროლა ვაჟკაცი კიდევ მოიძებნებოდა სოფელში და მით ნუგეშობდნენ. მაგრამ დაჰკრა ჟამმა და წაიყვანეს უკანასკნელი სულის დამამშვიდებელნი და მასაზრდოებელნიც. დარჩნენ 60 და 70 წლის მოხუცებულები და უსუსური ბალღები. ცხოვრების მშველელნი და ხმის ამომღებნი არსაიდანა სჩანან; ჩვენს სოფელში კანტი-კუნტად დარჩენილს ინტელიგენციას კი არა სცალიან ამ ბეჩავის ხალხისთვის ხმა ამოიღოს და გზა უჩვენოს. თავბრუ დამხვევ ნუნუას შეექცევიან და როდესაც ძალზე შეზარხოშდებიან მაშინ „გაუმარჯოს საქართველოს“ მღერიან და ამით ნეტარებას უქადიან სამშობლოს! აფსუს!

ქალაქის მყვირალა მოსოციალისტე ინტელიგენციას კი ის უფრო ეხერხება, რომ „ორიზონისტებს“ ქება-ხოტბა შეასხას. ნათრევ სატრფოს დაუწყეს არშიყობა და ჩვენ გულუბრყვილო ბავშვებსაც მეტი აღარ უნდათ და მათის იეზუიტურის არშიყობით დამთვრალნი, სიხარულით ცას ეწევიან და ხალხისთვის აღარა სცხელათ, ხალხი მათთვის მარტო სახელისთვის არის, რომ გაზეთების ფურცლებზე დასწერონ- „მშრომელი ხალხი, მუშა და გლეხი“ და ამითი თავდება მათი ხალხისადმი მზრუნველობა. რა ხდება სოფელში და რა უკიდურეს მდგომარეობას განიცდის ხალხი, ეს მათ ძალიან ცოტად აინტერესებთ.

ამნაირად იწყება ახალი ხანა და ახალი კადეტური თვალთმაქცური არშიყობა და ქორწინება, მაგრამ განქორწინება კიჟერ არ ვიცით როდის მოხდება! საკვირველია რომ ფედერალისტებს ორიზონისტები ასე რიგად დაუტკბენ. მაგრამ როდესაც ისინი გაიმარჯვებენ, მაშინ განქორწინება ხელად მოხდება.

მართალია „ორიზონისტებს“ არა სცხვენიათ, მაგრამ ჩვენს სოციალისტ ინტერნაციონალისტებს როგორ ავიწყდებათ მათი ისეთი გამოლაშქრება ამ რამდენიმე თვის წინად „ორიზონ“-სა და „კავკას. სლოვო“-ს ფურცლებზე:—„შეუერთდით თქვენს ბედს და ერიდეთ ჩვენს ძლევამოსილს კაპიტალსა და ფიზიკურს ძალასო“. და ასეთ უხეშის მუქარით მოგვმართეს და ახლა კი ეარშიყებიან ჩვენს გულ მავიწყ ბავშვებს!

ბატონებო, რაც არ გაკეთებულა ამ 40 წლის განმავლობაში ამ არშიყობით, ამის შემდეგ რა გაკეთდება! ჩვენ სასაყვედურო რა გვაქვს? ვის რა წავართვით? თუ ვისმეს სურს ჩვენთან მეგობრობა, ჩვენ მზათა ვართ! ნუ წაგვართმევენ, არც ჩვენ წავართმევთ! მაშ რაღა საჭირო არის ამდენი წყლის ნაყვა და უსაქმური და უსარგებლო არშიყობა? აქ დროს დაკარგვას არა სჯობიან ხალხს მიხედონ. ეს არის საჭირო და არა-კაბინეტური რაღაცა ოცნება, და თვალთ-მაქცური წყლის ნაყვა. მეტია სოლიდარობაზე ლაყბობა! სჯობია ხალხს მიეშველოს ჩვენი ინტელიგენცია, გაალთნიეროს ქონებრივად და გონებრივად და ყველანი ანგარიშს გაუწევენ.

ჩვენ არავინ არა გვძულს და არც შეგვიძულებია, ჩვენ პირველმან გაუწოდეთ ხელი ძმურად და გამარჯობა უთხარით ჩვენს მეზობლებს და მეგობრათ მივიღეთ.

ჩვენც სამაგიეროს ვთხოულობთ, მაგრამ საუბედუროთ, ჩვენს გულკეთილობას ყველანი გალესილის მახვილით ეგებებიან და უნდათ ჩვენის თავაზიანობით ისარგებლონ და თავიანთთვის მიითალონ.

ამ ბუნებრივს ჩვენს გულკეთილობას ნ. დურნოვო კრიტიკულის თვალით უყურებს და მამაშვილურად გვირჩევს მეტი სიფხიზლე გამოვიჩინოთ და მტერი მოყვრებიდან გავარჩიოთ.

ი. ი. გ.—იანი.

ღილოს მერძევეთა ამხანაგობა

ჩვენს გაზეთში ამას წინად წერილი დაიბეჭდა, რომელშიაც აღნიშნული იყო, თუ რამდენად აიწეწა ღილოს მერძევეთა ამხანაგობის საქმეები და ამასთანავე ამხანაგობას ვალად დაედვა რძის ფასი 1.500 მანეთამდე. საქმის გამოსასწორებლად წარსულ კვირას, 25 ენკენისთვეს, ამ სოში მივიდნენ ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საკოოპერაციო სექციის თავმჯდომარე დ. ვ. ვაჩნაძე, ამხანაგი თავმჯდომარისა დ. ყ. ჩხეიძე და ინსტრუქტორი კოოპერაციისა შალ. გ. ტოროშელიძე. გაიმართა ამხანაგობის წევრთა კრება, რომელზედაც ბევრნაირი აზრი გამოითქვა საქმის გამოსასწორებლად. ბევრი წევრები ეხლავე თხოულობდნენ ამხანაგობისაგან თავისს ვალს. მაგრამ, რაღა თქმა უნდა, ეს შეუძლებელი იყო. სექციის წევრებმა ურჩიეს ამხანაგობის წევრებს, რომ განაახლონ რძის მიტანა ამხანაგობაში და მიტანისას მხოლოდ სამ-სამი მანეთი აიღონ ფუთ რძეში. რადგან ეხლა თბილისში 5 მანეთამდე იყიდება ფუთი რძე, ზედმეტი ორ-ორი მანეთი მოგროვდეს ამხანაგობის კასაში და ამ რიგად შემდგარი ჯამი ყოველ თვის ბოლოს გამგეობამ ვალის კვალობაზე პროპორციონალურად გაუნაწილოს მოვალეებს. ეს წინადადება კრებამ შეიწყნარა. შემდეგ ამხანაგობა შეუდგა გამგეობის წევრების არჩევას. რამდენიმე კაცი იქმნა დასახელებული, მაგრამ ბევრმა მათგანმა უარი განაცხადა მოუცლელობისა თუ სხვა მიზეზის გამო. ბოლოს, როგორც იქმნა, კანდიდატებზე შეთანხმდა ხალხი და საქმის გამგედ (ანუ როგორც ეძახიან, რწმუნებულად) არჩეულ იქმნა მიხაკო ასაკაშვილი და ორიც კიდევ გამგეობის წევრებად ნაცვლად ძველებისა. იმედი აქვთ, რომ მთელ ვალს ამხანაგობა თებერვლის დამლევამდის მოიშორებს თავიდან.

ს. იაშვილი

(„მოკლე სახელმძღვანელო ბუნების მეტყველობისა“)

(დასასრული)

ამგვარად ჩვენ წიგნის ბოლოში გავედით და, რაც უფრო აღსანიშნავი იყო, შეძლების გვარად მოკლედ აღვნუსხეთ. ეს ამონაწერები ცხადად გვიჩვენებენ თუ მართლა რაოდენი სიფრთხილე სჭირია საბუნებისმეტყველო წიგნის დამწერს, და საზოგადოდ ყოველნაირ სახელმძღვანელოს დამწერსაც. აქ ყალიბდება საბოლოვოდ, აქ შალაშინდება სავსებით ენა; ამ ენასა სწავლობს ბავშვი, ამ ენით ვითარდება ყმაწვილი. აქ ეჩვევა სწორს მსჯელობას მოწაფე, აქ მკვიდრდება ადამიანის აზროვნობა. როდესაც ყოველივე ახალი საგნის თუ ცნების სიტყვა ქართულია და შესაფერისად გამონახული, სწორედ შედგენილი თუ ნაწარმოები, მაშინ პატარა და დიდისათვისაც თითქმის განუმარტებლადაც მისახვედრი და გასაგები, რასაკვირველია, დასახსომებლადაც ადვილი ხდება ამ ახალი საგნის თუ ცნების შინაარსი. პოეზიაში ადამიანი ჩვეულებრივ გაურბის კიდეც რამე აზრის ერთი სიტყვით გამოთქმას, იქ მრავალ-სიტყვაობაა გამეფებული: რაც უფრო ბევრნაირად იტყვი ერთსა და იგივეს, ეს უფრო მეტ ღირსებად ითვლება დამწერისათვის. იქ, პოეზიაში, ხშირად ისეთს აზრს ეძებენ, რომ იგი წინდაწინვე არჩეულ სიტყვებს შეეფერებოდეს. ბუნების მეტყველებაში კი (და საზოგადოდ მეცნიერებაში) კაცმა სიტყვები უნდა გამონახოს არსებულ აზრის გამოსახატავად. პოეზიაში თუ კაცი არსებულ სიტყვებით უფრო კმაყოფილდება, აქ ეს პირდაპირ შეუძლებელი ხდება; აქ ადამიანმა კვლევა-ძიების და აღმოჩენების დროს, ყოველ ახალ აზრისთვის უეჭველად უნდა შიჰქმნას ახალი სიტყვები ახალ ცნებათათვის. ეს კი სიტყვის ძირების წარმოებით კეთდება. როდესაც ერთ სიტყვის ძირიდან სხვა და სხვა მონათესავე აზრისათვის სხვა და სხვა სიტყვა იბადება, მაშინ ენა უფრო მოქნილი ხდება, და ენის სიმდიდრის სალაროც სწორედ ეს არის, ამაში მდგომარეობს.

ცოტაოდენი შრომა რომ გავწიოთ და მივაჩვიოთ ხალხი ზოგიერთა სიტყვის მაინც საჭიროებისამებრ წარმოებას, მაშინ ენის ეს საზოგადო წესები ყველას ყურადღებას მიიქცევს და აღარავის გაუჭირდება სხვა ყოველივე სიტყვის სურვილისამებრ წარმოება— ყველას შეეძლება ახალი სიტყვების შედგენა. (რასაკვირველია, ყოველნაირი პოეტურ ნაწარმოების თარგმნაც ემსახურება ენის განვითარებას, მაგრამ ქმნილებაში აქ მხოლოდ მთარგმნელი იღებს მონაწილეობას, სხვა კი უმონაწილო რჩება,—სკოლა არ იქმნება. თარგმნა ხშირად რყვნის ხოლმე კიდეც ენას: მაგ., ხომ უნდა არსებობდეს განსხვავება ამ ორ სიტყვაში: ქიმიური და საქიმიო? იტყვიან: ქიმიური შეერთება, ქიმიური მოვლენა და სხვ. აგრეთვე: საქიმიო დარბაზი, საქიმიო იარაღი... კვლავ შეიძლება ითქვას: ქიმიის დარგი, ქიმიის განყოფილება... ყველა ამ შემთხვევაში რუსულად ზედშესრულ სახელსა ხმარობენ; ქართულად კი რომ ყოველგან „ქიმიური“ ვიხმაროთ, შეიძლება აზრი უაზრობამდეც შეიცვალოს. ასე ავტორს მე-79 გვერდზედ ნახმარი აქვს: „ქიმიური სტაქანი და ძაბრები“. აქ სიტყვა „ქიმიური“ ჩემის აზრით უეჭველად სიტყვა „საქიმიო“-დ უნდა შეიცვალოს, თორემ განა შეიძლება „ქიმიური“ სტაქანი?).

როგორც სავსებით ვერ განავითარებს საპოეზიო ლიტერატურა ენას, ისევე სავსებით ვერ განავითარებს იგი სწორ მსჯელობას. პოეზიაში ძალიან ბევრი რამაა ოცნების ნაყოფი. ოცნება კი ეს ისეთი რამ არის, რომ იგი ძალიან ხშირად ლოგიკის წინააღმდეგაც კი მიდის. სულ სხვაა ბუნებისმეტყველება. აქ, ბუნებაში, ყოველივე მოვლენა არის აუცილებელი შედეგი არსებულ ძალთა განწყობილებისა. ბუნების ყოველივე მოვლენას აუცილებლივ წინ უძღვის მისი გამომწვევი მიზეზი და მოსდევს აგრეთვე აუცილებლივ თავისი შედეგი. ამასთანავე ბუნებაში ყოველივე დამოკიდებულება სამარადისოა, ბუნებაში შეცდომა არ არსებობს, იგი შეუცდომელია. ამიტომ თუ ჩვენა გვსურს საღი, სწორი მსჯელობა შევსძინოთ ხალხს, დავამკვიდროთ და განვამტკიცოთ მისი აზროვნობა, ჩვენ უმთავრესად ბუნებას უნდა მივმართოთ და მის შესწავლას შეუდგეთ. რაოდენადაც დიდ მნიშვნელოვანია ადამიანისათვის (მისი ენის, გონების და ქონებისათვის) ბუნება და მისი კანონები, მაშასადამე, იმდენადვე ფრთხილად და დაფიქრებით უნდა იყოს შედგენილი და დაწერილი ამ ბუნებისა და მისი კანონების გამომხატველი ყოველი სიტყვა და წინადადება.

—

წიგნის სისრულეზედ ვერაფერს ვიტყვი, რადგან არა ვარ პროგრამის სივრცეს გაცნობილი. მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ კარგს იზამდა ავტორი, რომ წიგნში სხვა და სხვა ზომების შედარებითი გამოხატულება და ზოგიერთა ცნობილ ბროლების (კრისტალების) სახე მოეთავსებინა.

ვცდილობდი მოკლედ და ეკონომიურად აღმენიშნა ყოველივე, რაც ბ-ნ იაშვილის წიგნში შეცდომად ან უხერხულ ნათქვამად მიმაჩნდა. ამისდა უნებურად წერილი ერთობ გრძელი გამოვიდა, საჭიროებამ თავისი გაიტანა.

მ. შალამბერიძე.

წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით ჩვენი უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ თელავის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის გამგეობას: ბ-ნ დ. ლუკაშვილს, ქადაგიძეს და კიკვიძეს, რომელთაც არ დაიშურეს და დაგვითმეს თავისი დარბაზი ორის ღამით, სახალხო საღამოს გასამართავად. თუმცა დარბაზის დათმობით ამხანაგობას ბევრი შრომა დასჭირდება ხოლმე, რომ იგი ხელმეორედ დაალაგოს და მოაწესრიგოს, მაგრამ პატივცემული დ. ლუკაშვილი თავისის თანამოღვაწეებით არაფერს არ იშურებს, რათა ხელი შეუწყოს ხოლმე ხალხის სულიერ საზრდოს მიწოდებაში. ვისურვებთ, რომ სხვა ამ ნაირ დაწესებულებასაც თელავის ამხანაგობისათვის და მის მოღვაწეებისათვის მიებაძნოთ.

თელავის სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის გამგეობა.

რედაქტორ-გამომცემელი
ხანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33	საღ.
ბორჯომის	სამგზ.	№ 17,	8.27	დილ.
„	სამგზ.	№ 19,	3.19	დღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.13	საღ.
თელავისაკენ		№ 4,	7 „ 58	„ დილ.

თფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	9.52	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	საღ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48	საღ.
თელავიდან		№ 3,	7 „ 58	„ საღ.

სუსუნატი

ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს ამ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება სუსუნატის წამლით პირველ-ხარისხოვანი „გონოზანით“. ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშუალება ნაცადია ტფილისის, რუსეთისა და საზღვარგარეთელ ექიმებისა და პროფესორების მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

ჩვენი გარანტია.

თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და რადიკალური საშუალებაა. საშუალება ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და სამი შუშხაპუნებით რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავადმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და 3 შუშა შეშხაპუნებული ღირს ცხრა მან. სხვა ქალაქებში გაიგზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ რ. შმიდტ თბილისი, თხინვალის ქუჩა № 12 отд. 3. მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მეჟავოს ქუჩის.

Р. Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвалская ул. № 12 отд. 3.

პირადად ნახვა შეიძლება 2—5 საათამდე. წამალი იყიდება მთელი დღე. —300—

თუ გსურთ, მიმართეთ

რემინგტონზე რისამე დაბეჭდვა,
რემინგტ. სწავლა ამერიკ. წესით,
საქმის ქაღალდის დაწერა,
თხოვნების შედგენა,
საქმის და თხოვნის წარმოება,
ცნობების შეკრება,
მოსამსახურის შოვნა,
საკომისიო მინდობილობა,
ბინის გაქირავება,
ბინის შოვნა,
მამულის ყიდვა,
მამულის გასყიდვა,
მამულის დაგირავება,
მამულის იჯარით გაცემა და სხვ.

ცნობის კონტორას
ი. თ. გვათუასას
თბილისი, ვერის დაღმართი,
სახლი მელიქ აზარიანისა № 1

შუამავლობას ეს კონტორა გასწევს როგორც ქალაქელთა ისე ქალაქ გარეშელთათვის.

ყველა საქმეს კონტორა სწრაფად და პირნათლად ასრულებს.

ხელმისაწვდენ ფასებში

მისამართი პროვინციელთათვის: Тифлисъ, Верійск. спускъ И. Т. Гватуа, Справочная контора.

სავაჭრო-სამრეწველო სამინისტროს გამგებლობაში მყოფი
კულინარული (მზარეულობის) სკოლა
ე. ნ. მისტროვისა
(გრიბოედოვის ქ., № 7.)

სკოლის წესდების § 4-ის ძალით აძლევენ თეორეტიულ ცოდნას მეოჯახეობის, სამზარეულოს ჰიგიენის, საჭმელების კეთების, სანოვაგე-სურსათის და ხორცეულობისას. პრაქტიკულად ასწავლიან სხვა და სხვა გვარ რუსულ, ევროპიულ და ადგილობრივ საჭმელებს, ნამცხვრების, მურაბების და შინაურ კვასის კეთებას. სკოლის მიზანია: 1) გააუმჯობესოს და გააიაფოს ოჯახში კვება; 2) შეასწავლოს კულტურული პროფესია (ცხოვრებაში გამოსაყენებლად და ცხოვრების წყაროს მოსაპოვებლად.

სამი თვის კურსი ღირს 25 მან. შეიძლება მეცადინეობა თვიურად და გაკვეთილობითაც. სკოლაში შესვლა შეიძლება ყოველდღე.

(10—338—6)

სავაჭრო სახლი
„ძმ. სესიევები და ამხ.“
(ვაგზლის ქ. № 6)

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ პირველ ივნისიდან ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება

ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო

საგალანტერიო მაღაზია
ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

იყიდება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი: ბულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი

(101—წ.)

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს: მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე **ლ ა ღ ი ძ ი ს** და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის ნამდვილი სამკურნალო წყალი და გაუფრთხილდნენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების ყალბი ეტიკეტების მიმსგავსებით ნამდვილი ლაღიძის წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში და თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი“



მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვენით და მასთანვე

სუნი და გემოც საამური აქვს

წლ.

ქ. თბილისში, ოლღას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზია
„განათლება“-ში

იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“,“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

თევზის მრეწველნი
ძმ. მეჯვილოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „[illegible]“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფორეჯი და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა [illegible].

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

სტამბა „ცხოვრება“ კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.